გიორგი გოგოლაშვილი
თამაზ ხმალაძე

რატომ კარგი აგიგია?!

„ხელოვნებაზე ზეცა მოსულმა,
მერეთა ოდე ამოგვა.
ფამფალობენ, მზე-ავი მოიტანენ, -
ნისლთან ერთად ავგვა!...“

გიორგი გოგოლაშვილი
თამაზ ხმალაძე

რატომ კარგი აბიბია?!

(გამონოლოგებული დიალოგი)

პ ა ა ტ ა ჩ ხ ე ი ძ ი ს
რედაქციითა და ბოლოსიტყვით

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

რედაქტორი **პაატა ჩხეიძე**

გარეკანი **ირაკლი ავალიანისა**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რუსუდან გრიგოლიასი

რატომ კარგი აგიგია?!

„ერთ-ერთი ცოდვა, რომელიც გააჩნია ადამიანს, არის უმადურობა. უმადური არ უყვარს არც ღმერთს და არც ადამიანს“

ილია მეორე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

წინათქმა

ჩვენ, თამაზ ხმალაძე და გიორგი გოგოლაშვილი, ათეული წლებია ერთად მოვდივართ. აზრთა გაზიარება-შეჯერება, მსჯელობა, კამათი – მუდმივი თანმხლები იყო ჩვენი ურთიერთობისა ამ ხნის მანძილზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში რადიოპროგრამებში „დროება“ და „ენაჲ შემკული

და კურთხეული“ რამდენიმე დიალოგი გადავეცით სხვადასხვა თემაზე... მერე თამაზს გაუჩნდა იდეა, შეგვექმნა რუბრიკა „ერთხელ საქართველოში“. შევარჩევდით თემას (მაგალითად: ბათუმის ქალაქისთავის არჩევნები, ილია სოხუმში, აკაკი კახეთში და სხვა), ცალცალკე მოვიპოვებდით მასალას, დავსხდებოდით, დავალაგებდით სათქმელს და მერე მივიდოდით მიკროფონთან; ჩავიწერდით; შემდეგ თამაზი გაკრავდა ხელს (მონტაჟს ვგულისხმობთ) და გადაცემაც მზად იყო; გადაცემის ტექსტს გავშიფრავდით და ვინახავდით... ასე შეიქმნა დიალოგების წიგნი „ერთხელ საქართველოში“, რომელიც გამოვეცით 2000 წელს (წიგნში ათიოდე დიალოგი შევიდა).

მერე გაუქმდა ჩვენი რადიოპროგრამები და შეწყდა დიალოგებიც... არა ერთი და ორი ჩაფიქრებული თემის განხორციელება ვერ მოვასწარით; ასეთი იყო თუნდაც ვაჟა-ფშაველა და შირაქის ამბები; ნიკო ნიკოლაძე და

ფოთი... გვერდზე გადავდეთ მოპოვებული მასალები... მაგრამ ამ თემებზე ფიქრი ვერ შევაჩერეთ და ჩვენს პირად საუბრებში ისევ იჩენდა ხოლმე თავს, ვერ დავეღწიეთ, ვერ მოვიშორეთ...

დღეს ალბათ ძნელი გასარკვევია, რა სჯობდა, ოცი წლის წინ რომ დაწერილიყო ეს, თუ ახლა რომ დაიწერა.

ოცი წლის წინ ეს ტექსტი ჩვენთვის ჩვეული დიალოგების რიგს შეემატებოდა.

ოცი წლის წინ სულ სხვა გზნებითა და შემართებით შეიქმნებოდა და არ იქნებოდა ის, რაც არის ახლა, რადგან:

ამ ოცმა წელიწადმა მეტი თავშეკავება, სიდინჯე და წონასწორობა გვასწავლა.

ოცი წლის მანძილზე კიდევ ბევრი უმადურობის მომსწრენი გავხდით სხვათა მიმართ თუ ჩვენ მომართ, რამაც შესაძლოა წუთისოფლის ამ თვისებაზე დაკვირვებისას სამზერიც გამოგვაცვლევინა...

ასე იყო თუ ისე, ეტყობა, როცა უნდა დაწერილიყო, მაშინ დაიწერა.

კარგია, რომ დაიწერა...

2022 წელს გიორგიმ წამოიწყო დიალოგები ცნობილ მწერლებთან თემაზე „ენა და მწერალი“; მათ შორის ჩვენი დიალოგიც გაიმართა, გამოქვეყნდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ (გ. გოგოლაშვილი, თ. ხმალაძე, „მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა“; N 8-9, 2022 წ.) და შევიდა წიგნში „ენა – ულმობელი მსაჯული“ (2022 წ.)...

ისევ გაცოცხლდა იდეა დიალოგებისა... და, რაც მთავარია, „გადანახული“ თემები გავიხსენეთ... ვაჟა-ფშაველასა და ნიკო ნიკოლაძის ამბები მადლიერება-უმადურობის იდეით გავაერთიანეთ; საუბრებმა სხვაც მოიტანა და ასე იქცა თემად „რატომ კარგი აგიგია?!“...

მსჯელობაში „დაიკარგა“ „ჩემი“ და „შენი“... ყველაფერი „ჩვენი“ გახდა – რომელმა

რა თქვა, აღარ გაირჩეოდა; ყველაფერი ორივემ ვთქვით, ორივემ ვიფიქრეთ, ორივე ვაგებთ პასუხს... მითუმეტეს, რომ ცხოვრებისეულ ღირებულებათა თუ ღირსებათა შეფასების კრიტერიუმების უმეტესობა ჭაბუკობიდანვე საერთო გვქონდა და ამიტომაც ერთობლივი დასკვნების გამოტანა მაინცდამაინც არ გაგვჭირვებია...

ასე „დაიკარგა“ დიალოგი და „გამონოლოგდა“ სათქმელი... ასეც დავარქვით: „გამონოლოგებული დიალოგი“...

ვიხსენებდით, ვეძებდით, ვფიქრობდით, ვმსჯელობდით, ვიწერდით, ვაერთებდით და... ასეთი სახე მიიღო სათქმელმა..

საგულისხმო თემაა; საინტერესო პრობლემა...

ჩვენ ასე ვიფიქრეთ...

თქვენ რას იტყვით?

რა არის „ბველის სამართალი“?

ერთი ძალიან საინტერესო და უცნაური ხალხური ლექსია:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია.
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, –
რატომ კარგი აგიგია!...“

ამ ლექსის პოპულარობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ იგი „დიდოსტატის მარჯვენას“ წარუმძღვარა ეპიგრაფად.

ლექსში თითქოს დარღვეულია მსჯელობის ლოგიკა: კარგი თუ გააკეთა, ამისთვის ჯილდო უნდა მიეცათ, მადლობა ეთქვათ... მოხდა კი პირიქით...

კონსტანტინე გამსახურდიამ სცადა მკლავის მოკვეთის ალოგიკური ფაქტი ეპოქასთან მიმართებით განეხილა; რომანში ეს ლეგენდა ამგვარად გაიაზრა: ასეთი იყოო „ხელოვანის ბედი ტირანულ ეპოქაში“... ვფიქრობთ, ეს საინტერესო ლიტერატურული გააზრებაა, მაგრამ...

მაგრამ ასეა ვითომ?... „პოლიტიკურმა ვითარებამ“, ეპოქის შინაარსის გააზრებამ ათქმევინა ეს ლექსი მელექსეს?

კაცობრიობის ისტორიისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ ცხადი და კანთიელი გახდეს: უმადურობა, დაუნახაობა, „კარგის ამგების“ მიმართ ამ ლექსისეული განაჩენი ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში თანაბრად დამახასიათებელი მანკია...

ლექსში მოთხრობილი ამბავი რომ ანომალია იყოს, გამონაკლისი იყოს, ვფიქრობთ, ხალხური გენია არ შექმნიდა მას; ყოველ შე-

მთხვევაში, რომც შეექმნა, ხალხის მეხსიერება არ შემოგვინახავდა...

ლექსის თხრობის სტილი, განწყობა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ეს ჩვეულებრივი, კანონზომიერი მოვლენაა, ბუნებრივი ამბავია: განმარტავს ხელოვანი – იმიტომ მომჭრეს მკლავი, რომ კარგი ტაძარი ავაგეო!... – „მკლავი მომჭრეს, – რატომ კარგი აგიგიაო!...“

ეს არ არის „მართალი სამართალი“! (გავიხსენოთ რუსთველური შეგონება: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“). ეს „უსამართლო სამართალია“...

მართალი სამართალი ის იქნებოდა, მადლიერება გამოეჩინათ და სვეტიცხოვლის ამგებისათვის შესაფერისი პატივი მიეგოთ, ჯილდო და სანიჭარი მიებოძებინათ, ძეგლი დაედგათ!

საერთოდ რა არის სამართალი, როგორი შეიძლება იყოს ის? ეს კითხვა ერთ-ერთი არსებითია სულხან-საბა ორბელიანისათვის.

აბა, ერთი ცოტა ხნით „სიბრძნე სიცრუი-საში“ ჩავიხედოთ.

* * *

ლეონის მოთხრობილი ერთ-ერთი არა-კის („უსაქმო კაცი“) პასუხად რუქა იტყვის:

„არა ახლია ეს საქმე. ძველთაგან თქმუ-ლა: „არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“... დი-ახ, რუქას აზრით, ესაა წუთისოფლის სამარ-თალი...

ანუ: **„რატომ კარგი აგიგია“** – ეს ძველთა ძველი სამართალია; იგი მთლიანად მოიცავს ჩვენს ყოველდღიურობას და მართალ სამარ-თალს ადგილს აღარ უტოვებს...

„არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარ-გი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“ – ეს განმარტება რუქამ ლეონის ქმედების გამო გააკეთა; მის მიმართ ლეონის დაპირირისპი-რებას ამგვარი ახსნა მოუძებნა მან. აზუს-ტებს, აკონკრეტებს რუქა: – ეს ასეა, „თვარა ლეონ რას მემტერება? ერთი დაკარგული კა-

ცი არავის შეეწყნარებინა და მოვიდა, მეფეს გავაწყევ და დიდი წყალობა მიანიჭა. აწ მე რას მიპირებს?“

ამ თავისი ეჭვის არგუმენტად, ლეონის ქმედების ასახსნელად რუქა თხრობს არაკს „გველი და კაცი“... ამ იგავით რუქას ამის თქმა სურს: ლეონმა ცხოვრება ჩემი მეშვეობით მოიწყო და მე მებრძვისო...

როგორც სჩვევიათ „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟებს, არაკი მოჰყავს რუქას ამ თავისი აზრის არგუმენტად. თავისი თეზის ჭეშმარიტების დასტურად: „არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია“.

გავიხსენოთ ეს მშვენიერი იგავი მცირე განმარტების თანხლებით:

კაცი და გველი

„ერთი კაცი მოვიდოდა გზაზედა. ნახა, ერთ ძეძვს ცეცხლი შემოჰგზნებია და ზედ გველი გასულა. წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და წივის. ნახა მან კაცმან, შეეწყალა

და თქვა: ამ გველს მოვარჩენ, მადლია ჩემ-
თვისაო.

მივიდა, შუბის წვერი მიუშვირა. გველი ზედ შემოეხვია, მხარზე შეახლტა და ყელს შემოეღვლარჭნა. მაგრა მოუჭირა.

ჰკითხა მან კაცმან: რა გაწყინე, რატომ მიზამ? სიკვდილს მოგარჩინეო!

გველმან უთხრა: კარგისთვის კარგი არა-
ვის უქმნია და მეც ასრე გიყავო.“

არ მიუვიდა მადლად კარგის ქმნა კაცს; ცდილობს გადააფიქრებინოს გველს თავისი განზრახვა, დაარწმუნოს, რომ ცდება და

„კაცი შეეხვეწა: ამდენი მაცალე, იგი ჭან-
დარი რომ დგას, მუნამდის მივიდეთ და მას ვკითხოთ. თუ ჩემის ცოდვით ხემაც ხმა ამო-
იღოს და დაგიშალოს, გამიშვი, თუ არა და, რაც გინდა მიყავიო.

ცოტა მოუფონა გველმან და მივიდნენ ჭანდართან.

ჰკითხა მან კაცმან: ეს გველი სიკვდილს მოვარჩინე. აწ ასე მიზამსო.

მან ჭანდარმან ეგრე უთხრა: ამ ცხელს მინდორში მარტო ერთი ხე ვდგავარ. მგზავრი, თუ არ ჩემს ჩრდილში, ვერ განისვენებს. მოვლენ, მოიგრილებენ, დავაჩრდილებ, მერე შტოებს დამამტვრევენ, ზოგს დასწვენ, ზოგს კოლოფებად გააკეთებენ: რა კარგი ხეაო! კარგისთვის კარგი არავის უქმნია, მოუჭირე გველოო!“

ჭადარიც ისევე ფიქრობს, როგორც გველი; განმარტა კიდეც, რატომ...

აქ ერთი საგულისხმო დეტალიცაა: არა ჩანს, რომ გველი ოდესმე სხვა ზნისა და სხვა აზრისა იყო და ცხოვრების ავ-კარგმა მიიყვანა ამ დასკვნამდე... ჭადარი კი ადამიანების უსამართლობამ გააბოროტა; მისი სიკეთე რომ ვერ დააფასეს, ამან აქცია დაუნდობლად...

„მოუჭირა ყელსა გველმან.

კიდევ შეეხვეწა კაცი გველსა: ცოტა მოუშვი. აგერ ხარი ძოვს, მას ვკითხოთო!

წავიდნენ. ხარს ჰკითხეს.

ხარმან უთხრა: მოვხნავ, დავფარცხავ, გავლეწ და ზაფხულ-ზამთარ სულ კაცისთვის ვმუშაობ, დამაწვენენ და დამკლავენ: რაო და, სტუმარი მოვიდაო! კარგისთვის კარგი არავის უქმნია, მოუჭირე გველოო!“

ისევ საგულისხმო მაგალითი: სიკეთე რომ არ დაუფასდა ხარს, მერე მივიდა ამ დასკვნამდე. ერთიც არის: რატომ თანხმდება გველი, ჰკითხონ ჭადარს, ხარს? „ბრძენია“ გველი: დარწმუნებულია თავის „სიმართლეში“...

კაცი კვლავაც განაგრძობს გველის გადარწმუნებას:

„მოუჭირა კიდევ ყელსა.

შეეხვეწა კაცი, ცოტა კიდევ მაცალე, აგერ მელი არის და მასაც ვკითხოთო!

მივიდენ, მელს ჰკითხეს. კაცმან თავისი საჩივარი და გველმან ხისა და ხარის მოწმობა მოახსენა.

მელმან უთხრა თავის ხერხიანის სიტყვითა გველს: ლომნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო, ყელზე შემოჰხვევიხარ და ისე მესამართლები, როგორ იქნებაო? შემოეშვი და შენც დამიჩოქე და ამ კაცმაცო!

რა გველი შემოეშვა და დაბლა ჩამოვიდა, დაჰკრა მელმან ტოტი, გველი მოკლა და თქვა: **გველის სამართალი ეს არისო!“**

დიახ, საბას აქ შემოაქვს უაღრესად საინტერესო ტერმინი – „გველის სამართალი“.

„მართალი სამართლის“ საპირისპირო ცნების აღმნიშვნელ ტერმინად მივიჩნევთ „გველის სამართალს“...

„გველის სამართალს“ თუ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე ეთანხმებიან ჭადარი და ხარი, მე-

ლისთვის არ არის მისაღები; მან იხსნა კაცი განსაცდელისაგან; დასაჯა გველი ავი სამართლისათვის...

მერე?

მერე აღმოჩნდა, რომ შინაგანად გველის სამართალს ეთანხმება კაციც; უფრო სწორად, მისაღები გახდა მისთვის „გველის სამართალი“:

„მერმე მან კაცმან ის მელი აღარ დაინდო და შუბის შეცემა მოუნდომა. კარგი რამ ბეწვი აქვსო...“

ეს უკვე გველის სამართალია... კაცმა მელის წყალობით დაიხსნა თავი ამ სამართლისაგან და იგივე სამართალი მოიმარჯვა მისი გადამრჩენელის მიმართ... ისე აპირებს მოექცეს, როგორც მოექცა გველი...

და მეტიც: მელი, რომელმაც „გველის სამართლისათვის“ დასაჯა გველი და გააჩინა

„მართალი სამართალი“ – ნანობს თავის კეთილ ქმედებას:

„შეუტყო მელმან, გაექცა და თავსა აბრალა: დავაშავე, მოვარჩინეო“...

ფაქტობრივ, კაცი თავისი განზრახვით („შუბის შეცემა მოუნდომა“) და მელი თავისი ფიქრით („დავაშავე, მოვარჩინეო“), აღიარებენ „გველის სამართალს“!...

რა გამოვიდა? – ყველა აღიარებს „გველის სამართალს“... ოღონდ ერთია: ჭადარი, ხარი, კაცი და მელი ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ (თავს გადახდენილმა ბოროტებამ, ავკაცობამ) მიიყვანა ამ აღიარებამდე... ხოლო გველი მარადიული ბოროტებაა...

(თანდაყოლილი და შეძენილი ბოროტება?)

ამ არაკის („კაცი და გველი“) შემდეგ „სიბრძნე სიცრუისაში“ მოქმედება ასე ვი-

თარდება: ლეონი ცდილობს, გადაარწმუნოს რუქა, რომ არ არის ჭეშმარიტება „გველის სამართალში“; რომ ეს სამართალი ბოროტებაა; კარგის პასუხად მხოლოდ კარგი უნდა მოიმოქმედოს კაცმა: დიდებული ტაძრის აგებისათვის მკლავი არ უნდა მოჰკეთონ ოსტატს... და „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟებმა დაიწყეს ხანგრძლივი პაექრობა.

ლეონი თავისი აზრის სამტკიცებლად იტყვის არაკებს: „კეთილი გველი“, „მოხერხებული არაბი“, „დიდვაჭარი და მეფუნდუკე“, „მაგისტროსი კეისრისა“... ლეონის ანტითეზა ასეთია: **„კარგისთვის ავს ვინ უზამს კაცსაო, კარგისთვის პასუხად ეგ მექმნა, ღმერთი რას მიზამდაო“,** „შენ რომ ამბობ (ლეონი რუქას მიმართავს – გ. გ.; თ. ხ.), კარგისთვის კარგი არავის უქმნიაო, **ნაკეთარიც** ნახეო!“

ამ პაექრობისას თავის წილად ნათქვამი იგავების ბოლოს ლეონი დაასკვნის:

„აწ, ძმაო რუქავ, დიდმან იცის და პატარამან. კარგისთვის კარგი პასუხი, გლახაკმან და ვაჭარმან, მკვდარმან და საპყარმან ესე ქმნა და შენ რად იტყვი კარგისთვის ავს და მაგიერ უქმნელობასა“?

ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ გადაარწმუნა ლეონმა რუქა... პირიქით, რუქამ ლეონის (და სხვათა) დასარწმუნებლად დამატებით არგუმენტებად ეს არაკები მოიშველია: „გლახა და მდიდარი“, „ჭაბუკი და მეკობრენი“, „სამნი ბრმანი“ და „მეფე ანაკოფიისა“.

აზრი რუქასი მტკიცეა და ურყევი: „კარგისთვის კარგი არაოდეს ქმნილა. რასაც შენ (ლეონს მიმართავს – გ. გ ; თ.ხ.) არა სტყუი და ახლა არ იგონებო“...

ანუ: კარგისთვის კარგის ქმნა შენი მოგონილი ამბავიაო; ცხოვრებაში სხვანაირად ხდებაო ოდითგანვე...

ათიოდე იგავის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პაექრობა ასე შეაჯამეს:

რუქა (ლეონს მიმარავს) - „ამით სცან, რომ კარგისთვის კარგი არავის უქმნიაო“.

ლეონი (რუქას მიმართავს): „რამცარა გითხარ, ესრეთ შმაგხარ, მეფეს პირისპირ ეტყვი: კარგისთვის კარგი არ ძალგიცს და ავისთვის ავიო. მე შენ დღეისწაღმა აღარას გეუბნები, თავმან მეფისამან!“

სედრაქი – ამ პაექრობის მსმენელი – ჩაერევა საუბარში. საბა დიდოსტატია: სედრაქის აზრს რომ მეტი წონა შესძინოს, ასე წარმოგვიდგენს მას:

„მან სიტყვის მდინარემან, ამბავტკბილმან, ენამრავალმან ვაზირმა სედრაქ დაუწყო წრთვნა რუქასა და ეტყოდა:

– რუქა, მე რა ამაღლებულისა და ღრუბელთა უმაღლესისა ხელმწიფისა საფარველს ქვეშე შემოვსულვარ და შენ შემისწავლიხარ, ძმასა და შვილსა ორსავ მირჩევნიხარ და არცა შენგან უკეთესი მეგობარი მყოლია. ამას გეტყვი და გასწავლი: რა კაცი კაცს გაუმტერდება, სიქიშპე ვეღარას დაანახვებს, თვა-

რა შენგან მართებული არ არის, რასაც კაცი-სათვის ავისა და ბოროტის მთქმელი იყო. ყოველ კაცსა სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა, რა გაუმტერდე და ვეღარ შეძლო, და-ძაბუნდები.“

რუქა მყარად დგას თავის პოზიციაზე...

ფრიად საინტერესო ამბავია...

* * *

მოგეხსენებათ, არაკთა უმტესობა და კერძოდ ეს არაკიც ხომ დაწურული, უაღრე-სად დაწნეხილი, ამ ვითარებაში სულ სხვა საჭიროებისათვის მოსახმარი, ვრცელი რო-მანია. მერე გამოჩნდება ვინმე ახალგაზრდა, გურამ დოჩანაშვილივით ფრიად დიდი ნი-ჭის მქონე მწერალი და მისგან კვლავ შექმნის „სამოსელი პირველის“ მსგავს გენიალურ ნა-წარმოებს. ისიც ხომ ერთი პატარა ბიბლიუ-რი არაკის – „უძღები შვილის“ – საფუძველ-ზეა დაწერილი... კარგი, ჩვენ ისევ ჩვენს არაკს მივუბრუნდეთ. სიმბოლოებით სავსე ამ მცირე ზომის ტექსტში, რა თქმა უნდა, ერ-

თი დღის განმავლობაში არა ხდება მოქმედება: ვინმე (ალბათ ახალგაზრდა), სათნოებით აღსავსე ზნეკეთილი კაცი დიდ სიკეთეს სჩადის ბოროტის მიმართ, რაც უკან ძალიან ცუდად მოუბრუნდება – თითქოს გზად მიმავალს მადლი კი არ ექნას და ქვაზე კი არ დაედოს, არამედ დანაშაული ჩაედინოს... და ვინ იცის, ეგებ მართლა შემცოდენი ვხდებით, როცა სიავკაცის მიმართ გულმოწყალებას ვიჩენთ, რადგან **უკეთურს თუ ხელს შევუწყობთ, ამით ბოროტებას ვაძლიერებთ,** მეტ ძალას ვძენთ. შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ კაცს ოდესღაც ჩადენილი სიკეთე სულ თან დასდევს და თანდათან უფრო და უფრო უჭერს ყელზე გველივით. (ნეტავ ეს კაცი თავად ადამი ხომ არ არის და გველიც ის ბიბლიური უხსენებელი, ანდა მისი შთამომავალი?!).

გადის რაღაცა ხანი და ამ კაცის ცხოვრებაში კვლავ ხდება სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება და ამჯერადაც ბოროტება

სჯაბნის სიკეთეს (ჭადრის ეპიზოდი). ამის შემდეგ კიდევ ერთი კოლიზიის მოწმენი ვხდებით (ხარის ეპიზოდი). აქაც აშკარაა ბოროტების უპირატესობა და ძალმოსილება...

რა ხდება? – თავისთავად გაჩნდება ეს კითხვა. რა ხდება და დღენიადაგ სიკეთის მკეთებელმა (ჭადარმაცა და ხარმაც) მის წილ უმადურობის მეტი ვერა მიიღეს რა, რამაც მათი თანდაყოლილი ხასიათი და ზნე შეცვალა. ძალიან ცოტა შეგვხვედრია ცხოვრებაში ისეთი კაცი, მის მიმართ ჩადენილ ბოროტებას ისიც რომ არ გაებოროტებინოს. გავიხსენოთ ის ანდაზა – „დათვმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო“... კიდევ ვიმეორებთ: სამწუხაროდ, ცოტანი არიან იოსებ ნონეშვილის მსგავსი ადამიანები („ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი, წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი“).

რა თქმა უნდა, ჩვენც გაგვიგონია, სიკეთე გადამდებიაო და ამის მაგალითებიც ვი-

ცით, მაგრამ, ვაი რომ ბოროტება მეტად და მეტად უფრო გადამდებია და რასაც შეეხება, ამასაც იოლად ასნებოვანებს. ჩვენი არაკის პროტოგონისტიც, ოდესღაც სულნათელი და გულმოწყალე კაცი, გველის მიმართაც რომ სიკეთეს იჩენდა, როცა მელას შეხვდა, უკვე ბოროტებით არის დაავადებული და მადლის მქმნელ მელას სიავკაცით პასუხობს. ეგ კიდევ არაფერი, აქამდე კეთილი მელა, კაცის მიერ ჩადენილი უმადურობისაგან ბოროტდება და სინანული იპყრობს: ეს რა თავი ქვას ვახალე, სიკეთე რატომ გავაკეთეო. – აჰა, ესეც დასნებოვნდა!..

ერთი სიტყვით, მთელი არაკი იმას ემსახურება, რომ დაგვიმტკიცოს: **წუთისოფლის სამართალი გველის სამართალიაო...**

ვთქვით ზემოთ: ჩვენც გაგვიგონია, სიკეთე გადამდებიაო... „დათა თუთაშხიადან“ დავიმოწმებთ ერთ პასაჟს (მორდეხაისა და დათას საუბრიდან). ჰყვება მორდეხაი: „მარტვილის ბაზარში ერთხელ ბიჭს თხა ჰყავდა

გამოყვანილი. ისე დაძენძილ-დაფლეთილი ტანისამოსი სხვა დროს არ მინახავს არსად, ამ ბიჭს რომ ეცვა. ქვრივი დედაბერი ევაჭრებოდა ვიღაც – სახადმა ოჯახი ამომიწყვიტა, შვილიშვილი დამრჩა ძუძუს ბავშვი, მისთვის მინდა ეგ თხა, დედაშვილობას გაფიცებ, სამ აბაზად მომეციო. მესამედი ფასი იყო იმ თხის ის სამი აბაზი. არაფრის გულისთვის არ თმობდა ის ბიჭი. მე იქ იმისთვის ვიყავი, რომ იაფად ნაყიდ ჩოხას ვყიდდი ერთს. ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს. თვალებში მაქვს ახლაც და კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მიცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად. მომბაძა მე და მიცა“...

ეს იმის მაგალითად, სიკეთე გადამდებიაო, მაგრამ მალე გააქარწყლებს ამ იმედს თუთაშხია:

„– ვცადე მაგ მე. ბევრჯერ ვცადე მაგ მე. იცი შენ ის.

– რაო მერე?

– ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა სწორედ. მე თუ არა, სხვას გახადა მაინც“... რკინის ლოგიკაა...

ასე დათა ფიქრობს, მაგრამ... არ ეთანხმება მორდეხაი:

„– რომ არ ჩაგეცვა მისთვის, გახდა თუ აგცდებოდათ ან შენ და ან იმ სხვას?

სიჩუმე ჩამოვარდა, მერე თუთაშხიამ მიუგო:

– არ მიფიქრია მაგაზე, – და არაყი გადაკრა...“

ეტყობა, არაა იოლი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა...

ახლა ის გავიხსენოთ, ზემოთ რომ ვთქვით, „უკეთურს თუ ხელს შევუწყობთ, ამით ბოროტებას ვაძლიერებთ, მეტ ძალას ვძენთო“... ისევ „დათა თუთაშხიაში“ ჩავიხედოთ.

თიყვა კაკუას ეპიზოდის მიხედვით გავიაზროთ ეს: გაიღო დიდი სიკეთე დათა თუთაშხიამ ბუდარა და ბუდარიხას მიმართ:

შეეცოდა ათ შაურად დაქირავებული ცოლ-ქმარი (თუმცა ესეც ბევრი იყო, მუშა დღიურად ორი აბაზი ფასობდა); აიჩემა თუთაშხი-ამ, მანეთი მივცეთ, ცოდვანი არინო; არ დაუ-ჯერა თიყვას და გააზრდევინა დღიური ჯა-მაგირი თხუთმეტ შაურამდე... არც მერე უს-მინა თიყვას და ფული ასესხა ერთხელ, მეო-რედ... ფიზიკურადაც მფარველობდა, გაბო-როტებული ხლისტებისაგან იცავდა... და-თასგან მიღებული სიკეთის წყალობით ბუ-დარებმა საკმაოდ შემლებული ოჯახი მოა-წყვეს...

მაგრამ, როგორც ითქვა, უკეთურთა მი-მართ გაღებულმა სიკეთემ გააძლიერა ბორო-ტება... ვნახეთ, დათას სიკეთით ზურგგამაგ-რებული და ძალამოცემული ბუდარები რა დღეში აგდებენ მუშად აყვანილ ავადმყოფ სევას: დღიურად აბაზს აძლევენ, სალაფავს აჭმევენ, ცემენ... უქმად ჩაიარა დათა თუთაშ-ხიას სიკეთის გაკვეთილებმა; კი არ გადაე-დოთ, ბუდარებში ჩაბუდებულმა ბოროტე-

ბამ (სიღატაკისა და უძლურებისაგან მიმალული რომ იყო) მეტი ძალა შეიძინა...

და დაეცნენ სულიერად ბუდარები... მორალურ-ზნეობრივი სახე დაკარგეს... გაირყვნა და გათახსირდა ბუდარიხა... კვლავ მიაკითხავს დათას ბუდარა და ამას შეეწირება თიყვას თვალის ჩინი...

ანუ: რაც ბუდარებისგან სიავკაცე ხდება, მისი თავი და თავი დათას გაკეთებული სიკეთეა... მან შესძინა ძალა ამ ბოროტებას...

რა გამოდის: უკეთურს თუ ხელს შევუწყობთ, ამ შემთხვევაში ჩადენილი სიკეთე ბოროტებად გარდაქმნილი სიკეთეა...

ქრისტეს შეგონება გახსოვთ? „ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს, ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს, რათა არ გათელონ იგი თავიანთი ფეხით და მოგიბრუნდნენ და დაგფლითონ თქვენ“ (მ. 7,6)

რუსთაველი კი გვასწავლის, რომ „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ებისო“, მაგრამ ბოროტებას სიუხვე აქცევს სიკე-

თედ? ეს უფრო სურვილი ჩანს რუსთაველი-
სა, ვიდრე წესი, გამოცდილება წუთისოფლი-
სა...

ისევ ხომ არ გავცდით მადლიერებისა
და უმადურობის ჩარჩოს? მართალი სამარ-
თლისა თუ უსამართლო სამართლის თე-
მას?...

* * *

კაცობრიობამ თავისი არსებობის მან-
ძილზე მრავალნაირი სამართალი დააკანონა
– ხამურაბისა და რომაული სამართლიდან
დაწყებული დღევანდელ ევროპულ სამარ-
თლამდე. მათ შორის არის ქართული სამარ-
თლის ძეგლებიც – აღბუღასი იქნება თუ ვახ-
ტანგ მეექვსისა; მაგრამ რუსთაველის „მარ-
თალ სამართალთან“ ახლოსაც ვერ მიდიან.
ასეთი რამე, ეტყობა, ამქვეყნად არ არსებობს.
აქ მხოლოდ გველის სამართალი – წუთი-
სოფლის სამართალია გაბატონებული.

საბას არაკის მიხედვით, ბოროტების
სიძლიერე ის არის, რომ სიკეთის ბოროტე-

ბად გადაქცევა შეუძლია – უმადურობა კეთილსაც აბოროტებს. ის ვამპირის ნაკბენივით არის – უკეთილშობილეს კაცსაც რომ ვამპირად აქცევს. გველის სამართლის მიხედვით, თუ ბოროტს სიკეთეს უკეთებ, ამით სიავკაცეს ეხმარები, ხელს უწყობ, ამრავლებ და ზრდი... ბოროტს ხომ სიკეთის დასანახი თვალი დაბრმავებული აქვს. აი, აქ უკვე სხვა დაბრკოლებას ვაწყდებით: თუ კეთილისმყოფელმა იმის ანგარიში დაიწყო, ვის გავუკეთო სიკეთე და ვის – არაო, ეს აუცილებლად ანგარებამდე მიგვიყვანს (ამის შესანიშნავი მაგალითია კინოფილმ „არ დაიდარდოში“ – „გავაგზავნით ორს, გამოგვიგზავნიან ოთხს“). უფალი კი გვასწავლის: მარჯვენა რომ სიკეთეს აკეთებს, ეს მარცხენამაც კი არ უნდა იცოდესო. უფალი იმასაც გვეუბნება: „ბოროტის კეთილისმყოფელო, კმა არს ბოროტისათვის სიბოროტეი მისი“.

და მაინც, რა ვიღონოთ? ასე გულხელდაკრეფილები ხომ ვერ ვიქნებით?

რა თქმა უნდა, არც ვმსხდარვართ და ვერც ვისხდებით.

განა ყველა ის „ძეგლისდება“, რაც კაცობრიობამ შეიმუშავა ხამურაბიდან დღემდე (იშვიათ გამონაკლისებს თუ არ გავითვალისწინებთ, როგორიც არის, მაგალითად, ძველინდური კანონთა კრებული „მანუ“, „მენავა-დაჰარვა-სასტრა“, რომელიც ძირითადად უსამართლობის დაკანონებას ემსახურება თურმე), გველის სამართლის საპირწონედ არ არის შექმნილი?

მერე? უშველა რამე?

რამე როგორ არა, მაგრამ, მახლას, მხოლოდ „რამე“.

ის კი არა, ყველა ქვეყნის კონსტიტუციები გველის სამართლის შესაკავებლად არის შემუშავებული მეტნაკლებად.

ეს მაინც თუ შველის რამეს?

ესეც შველის, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ „რამეს“... ვაი თუ ვმკრეხელობთ, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ ჯერჯერობით, სრუ-

ლად იესოს თვითშეწირვამაც კი ვერ უშველა...

ალბათ ვინმე წამოგვძახებს, მაშ ტყუილი უთქვამს რუსთაველს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო“...

ჰო, რუსთაველი ამიტომაც არის გენიოსი, რომ ასე თქვა და არა ისე, როგორც ჩვენ ვიტყოდით. თანაც ამ წიგნში – „ვეფხისტყაოსანში“ – ნამდვილად სძლია კეთილმა ბოროტს, ხოლო კაცობრიობის ისტორიაში კი, რა მოგახსენოთ... რუსთველისეულ სტრიქონს კი ჩვენ ასე ვიტყოდით: კეთილს ვერ სძლია ბოროტმა, არსება მათი გრძელია...

ეგ არის ჩვენი ბოლო? ჰო, ეგ არის... ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს, ხოლო კეთილი და ბოროტი (ისევე როგორც სხვა ყველაფერი) ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე...

მოდით, ასეც თქვათ: მეტი დამაჯერებლობისთვის ამ თემას ირგვლივ უტრიალებს რუსთაველი, სხვადასხვა ვარიაციას გვთავა-

ზობს: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“... ანდა: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს, ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“...

კი, სჯერა რუსთაველს, სძლევს კეთილიო ბოროტს და... უკვირს, ვერ გაუგია, კეთილის შემოქმედს რისთვის დასჭირდა ბოროტის შექმნა: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“?..

გაგვექცა საუბარი... ეგ თეორიული მსჯელობაა... კონკრეტული ფაქტები?

რატომ კარგი აგიგიაო...

ამის შემხედვარე ლეონს უკვირს, რუქა „რად იტყვის კარგისთვის ავს და მაგიერ უქმნელობასა“... თითქოს ვერ ამჩნევს უმადურობის კრიალოსნის შავი მარცვლებს ჭიატს, სხვადასხვა ზომის მარცვლებს...

უმადურობის კრიალოსნის თუნდაც ჩვენთვის ცნობილ თვლებს რა ჩამოგვამარცვლინებს?! ასე გვგონია, ვერანაირი დრო და

ენერგია ვერ ეყოფა და ვერც ვერავინ შეძლებს ამას... ვიცით: მადლის მატლად ქცევისა და სიკეთის დაუნახაობის რამდენიც უნდა მაგალითი მოვიყვანოთ, მკითხველს მაინც უკმარისობის გრძნობა დარჩება, არ დააკმაყოფილებს, გულიდან ღარღლს ვერ მოაშორებს, რადგან ყოველი ჩვენგანი უმადურობის იმდენ შემთხვევას გადაჰყრია – თავისთავზე გამოუცდია, წაუკითხავს თუ სხვათაგან მოუსმენია, რომ ჩვენი ჩამონათვალი ზღვაში წვეთად მოეჩვენება, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მათგანს გავიხსენებთ, ზოგს გაკვრით და ზოგსაც შედარებით დაწვრილებით...

მიზანი: დასმულ კითხვებზე ჩვენეული პასუხის გაცემა; წამოჭრილ საკითხში მეტი სიცხადის შეტანა...

(ერთი მარცვალი უმადურობის
შავი კრიალოსნისა)

ამბავი ვაჟა-ფშაველასი

გვასწავლა სულხან-საბამ: „ძველთაგან თქმულა: „არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“... დიახ, ესაა წუთისოფლის სამართალი, „გველის სამართალს“ რომ ეძახის საბა...

და ერთხელ ვაჟა-ფშაველაც „გასამართლდა“ „გველის სამართლით“; მაგრამ... „ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“

XIX საუკუნის ბოლოს, XX საუკუნის დასაწყისში, ქართულ საზოგადოებაში ძალიან აქტიური იყო შირაქის თემა – შირაქის მინდორ-ველების დასახლების პრობლემა.

თურმე:

„1899 წელს მეფის მთავრობამ განიზრახა, შირაქში ჩამოესახლებინა რუსები ისევე, როგორც ეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოიმოქმედა“ (გიგი ხორნაული, „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, 2020).

შირაქის ველი აღმოსავლეთ საქართველოშია; ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფით დედოფლიწყაროს რაიონში; ალაზან-ივრის შუამდინარეთში. ენციკლოპედიური ცნობარები გვამცნობენ, რომ შირაქში ჰავა ზომიერად კონტინენტურია; ნოყიერი მიწა – შავმიწა და წაბლა ნიადაგები; იცის „რბილი, უთოვლო ზამთარი“; საკურორტო ზონაა... დღეს მთლიანად იხვნება; „საქართველოს ბეღელს“ ეძახიან... შირაქი მე-19 საუკუნეში დაუსახლებელი იყო და ძირითადად ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ თუშები...

და აი, ამ უნიკალური ველის დასახლება გადაუწყვეტია იმპერიის იმჟამინდელ ხელი-

სუფლებას... დაუწყიათ კიდეც რუსების ჩამოსახლება (აქაც გიგი ხორნაულს დავიმოწმებთ); ეს რუსული ეროვნული პოლიტიკის გეგმის ნაწილი იყო... და ცდილობენ კიდეც ამ გეგმის განხორციელებას..

საფრთხე აშკარა და საბედისწერო იყო... ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა, მათ რომ განეხორციელებინათ ეს განზრახვა: ამ უზარმაზარ ტერიტორიას („საქართველოს ბეღელს“), საინგილოსა თუ ლორე-ალავერდის მხარეთა ბედი ეწეოდა ალბათ...

შეშფოთებულან ერისკაცები. მოვუსმინოთ ისევ გიგი ხორნაულს:

„მთავრობის განზრახვას ყური მოჰკრა ილია ჭავჭავაძემ. მან ჩუმად გაანდო ვაჟაფშაველას და სთხოვა, ასევე ჩუმად ჩაეგონებინა მთიელებისათვის, შირაქში დასახლებულიყვნენ“.

ძნელი სათქმელია, ამ საშვილიშვილო საქმის სათავესთან იდგა თუ არა ილია ჭავ-

ჭავაძე, დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ შირაქში მთიელთა ჩასახლების ერთ-ერთი ინიციატორი, თავკაცი და ორგანიზატორი ვაჟა-ფშაველა იყო... მაგრამ წყაროები არ ადასტურებს ილიას მონაწილეობას, თორემ იმ დროის საქართველოში ყველა ეროვნული საქმის თავკაცი რომ ილია იყო, ამას რა ფიქრი უნდა... შირაქშიც, ალბათ... ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა ხალხი, ასე სჯეროდათ: ამ საქმის იდეური ხელმძღვანელი ილია იყოო; პრაქტიკული განმახორციელებელი – ვაჟა-ფშაველაო...

ვაჟა-ფშაველას როლი რომ გავიაზროთ ამ საქმეში, ერთ ზოგად შენიშვნას გავიხსენებ მგოსნისას (წერილიდან „კახეთის ამბები“): „ჩვენს ხალხს თავისთავად არაფერი საქმის დაწყება არ შეუძლიან და თუ გამოუჩნდა მოთავე, გაგიხარიან, როგორც თხას ცხვარი, ხალხი იმ კაცს გაჰყვება. ეს ამბავი, რასაკვირველია, არ არის კარგი, მიუდგომელად რომ ვიფიქროთ, მაგრამ მაინც კარგია მაშინ, რო-

დესაც ერი ეთანხმება მისთვის თანამგრძნობელსა და შეგნებულს ადამიანს“.

და ასეთ „თანამგრძნობელ და შეგნებულ ადამიანად“ შირაქში ჩასახლების მსურველთ მოევლინა ვაჟა-ფშაველა...

* * *

მოკლედ, ფაქტია, ხელისუფლების განზრახვის საპირისპირო ქმედებას ვაჟა ჩაუდგა სათავეში; ეს სარისკო საქმე იყო, მაგრამ ეროვნული ინტერესებისათვის საჭირო... ვაჟამ გაუწია აგიტაცია მცირემიწიანი მთის მოსახლეობას ბარაქიანი და ნოყიერი შირაქის ველზე დასახლებულიყვნენ.

ეს უტყუარი ფაქტია. ამ საქმეში ვაჟა-ფშაველას ჩართულობის თაობაზე ოფიციალური წყარო არ არსებობს; ზეპირი გადმოცემით ილიასგან მიიღო დავალებაო და მთელი არსებით ჩაერთო ვაჟა ამ საქმეში...

ვაჟა-ფშაველას რამდენიმე პუბლიკაცია აქვს შირაქის თემაზე. ეს არ არის გარედან მოყურიადე გულშემატკივრის შთაბეჭდი-

ლება, აზრი მიმდინარე პროცესებზე. ეს მოვლენათა შუაგულში მყოფი კაცის აზრებია, სურვილებია, წინადადებებია, შეფასებებია... ამ პუბლიკაციებს ორი კუთხით უნდა შევხედოთ: ერთი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ პროცესს საქართველოთვის, ქართველებისათვის და, მეორე, როგორი იყო ვაჟას წვლილი ამ საქმეში.

საჭირო იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები დაინტერესებულიყვნენ შირაქში ჩასახლების თემით; თუ რატომ, ვაჟას მოვუსმინოთ: „ფშაველიც სთესავს ოთხი-ხუთი თვის გადაღარულ-გადაბრუნებულ მიწასა და წესისამებრ ჰმკის, ლეწავს, მაგრამ მაინც სანახევროდ ისევ მშიერია, რადგან უღონო, გაღარიბებული მიწა უხეირო მცირე მოსავალს იძლევა“ (თხზ., ტ. X, 73). ამგვარი მსჯელობის შემდეგ ვაჟა დაასკვნის: „აი, ეს გახლავთ მიზეზი, რომ აქაურებმა მიაშურეს ხამს და ნაყოფიერ შირაქს“ (იქვე).

შირაქის შესახებ ვაჟას პირველი პუბლიკაცია თარიღდება 1896 წლით. ეტყობა, ვაჟა შირაქში ჩასახლების პროცესის დაწყებამდე დაინტერესებულა შირაქით. ესეც ღირსსაცნობი ფაქტია ამ პროცესის ისტორიისა და ამ საქმეში ვაჟას წვლილის გააზრებისათვის. ათტომეულში რამდენიმე წერილია შირაქის თემაზე („ფშავის ხევი“ – 1906, „წერილი რედაქციის მიმართ“ – 1906, „მთის ვითარება“ – 1908, „ქართველთა ახალშენი შირაქში“ – 1913, „შირაქის ამბები“ – 1914...); არის პუბლიკაციები, რომლებიც არ შესულა ათტომეულში: ლევან ჭრელაშვილმა გამოავლინა და გამოსცა 1979 წელს „კახეთის ამბები“, „შირაქის ამბები“ (თხზულებანი – ახლადგამოვლენილი ნაწარმოებები).

წერილებში კარგად ჩანს, მთიელების შირაქში გადასახლებას რა სირთულეები ახლდა; რა პრობლემებს ხედავდა ვაჟა, როგორ ესახებოდა მათი გადაჭრის გზები და როგორ ცდილობდა მათ მოგვარებას. კარგად ჩანს

ხელისუფლების განზრახვაც, შეაფერხოს მიგრაციის პროცესი: ამისათვის, ერთი მხრივ, გააქტიურებს ამ პროცესის მოწინააღმდეგე თუშებს („საძოვრებს ვკარგავთო“) და, მეორე მხრივ, წააქეზებს მოსყიდულ ქართველებს და ავრცელებინებს ცრუნფორმაციებს...

ვაჟა ორივე ფრონტზე იბრძვის; ახალჩასახლებულთა ადვოკატია თუშების წინააღმდეგ გამართულ სასამართლოზე. თურმე „ერთ-ერთი პროცესის დროს, როცა თუშების ნაცადმა ადვოკატმა, თავად თუშმა სანდრო ცისკარიშვილმა მთელი თავისი იურიდიული ცოდნა და გამოცდილება მოიშველია და საქმე თუშთა სასარგებლოდ გადახარა, ვაჟამ უკიდურეს ძალას მიმართა: ბარაქიანი სილა შემოჰკრა ადვოკატს. აქვე ისიც წამოაძახა თუშთა დამცველს, ქრთამად რამდენი ჰქონდა აღებული. ამით საქმე თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა“ (გ. ხორნაული)... (მიაქციეთ ყურადღება: მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს მექრთამეობას რომ სდებს ბრა-

ლად,– ვაჟა ამას დიდ ცოდვად მიიჩნევდა! – გავიხსენებთ ქვევით). – ეს ბრძოლის ერთი ასპექტი...

ახლა მეორე მხარე: ერთ მაგალითს მოვიყვან ცრუ ინფორმატორთა წინააღმდეგ ბრძოლისა. გაზეთ „მეგობრის“ რედაქტორს მიმართავს ვაჟა-ფშაველა: „ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში ეს მეორედ შემხვდა ცნობა იმის შესახებ, ვითომ შირაქში მთავრობა უკრძალავს მთიელებს დასახლებას (იხ. „მეგობარი“, N 72. კორესპ. ფასანაურიდან). მე, როგორც რწმუნებული თუშ-ფშავლებისა, ერთი ორთაგანი, შირაქის სამოსახლოდ და საძოვრად დასაკუთრებისა მთიულებისათვის, საზოგადოდ ქართველთათვის, მოვალედ ვრაცხ, ვაუწყო ჩემს რწმუნებულებას, რომ ყველა ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია. ნუ დაიჯერებთ. ვისაც აქვს სურვილი, შეუძლიან დასახლდეს შირაქში. დამშლელი არავინ არ არის“.

როცა ხელისუფლებას არ გაუვიდა ასეთი ხრიკები („ირიბი წინააღმდეგობა“), აშკარა დაპირისპირებაზე გადავიდა. ვაჟა ისევ მთიელთა ინტერესების სადარაჯოზეა...

1908 წელს დაბეჭდილი წერილიდან: „შირაქში გადასახლება შეჩერდა, რაიც დიდ უკმაყოფილებას ჰბადებს ხალხში. დიაღ, შეჩერდა მთავრობის განკარგულების წყალობით, ვინც დასახლდა, ისიც მეტია, სხვას ვეღარ მივცემთ ნებას ახლად დასახლებისაო... ამ სხვებმა რაღა დააშავეს, ალაჰმა უწყის! ახლადდასახლების მსურველთ რადღა უკეტავენ შირაქის კარებს, ეშმაკმა უწყის!“

და ვაჟა ისევ ახალჩასახლებულთა გვერდითაა; შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა **„დაცულ იქმნას მათი ისტორიული უფლება შირაქში დასახლებისა“** (იქვე).

მივაქციოთ ყურადღება: ვაჟა მთავრობას უმტკიცებს, რომ ნებისმიერ ქართველს აქვს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში დასახლების უფლება; ეს **ქართველის ისტორიული უფლებაა!**

ამ ბრძოლისა და თავგამოდების შედეგად შირაქში გაჩნდა სამი ახალშენი, სამი ქართული სოფელი: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო... სამი ძლიერი სოფელი...

ვაჟა ქედებისა და არხილოსკალოს სამეურნეო, სოციალური თუ კულტურული პრობლემების მოგვარებაშიც აქტიურად მონაწილეობს და...

...და როგორ თქვა საბამ? „არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგიაო“...

და წუთისოფლის სამართალმა ვაჟას გასამართლებაც მოისურვა – „რატომ კარგი აგიგია!“

* * *

1914 წლის ივლისში სიღნაღში გამომავალ გაზეთში „ხმა კახეთისა“ (N 189) იბეჭდება ინფორმაცია შირაქის ამბებთან დაკავშირებით. კორესპონდენცია ანონიმურია; ხელს აწერს „მეთვალყურე“. ერთადერთი მიზანი ამ პუბლიკაციისა არის ვაჟა-ფშაველას „მხი-

ლება“; ორიოდე ამონარიდს მოვიყვანთ (განმეორებაც კი უხერხულად მიგვაჩნია, მაგრამ...):

„ყველა-ყველა არის და ის კი ვერ გაგვიგია, რით ავხსნათ ის მოვლენა, რომ ჩვენს მთის მგოსანს ვაჟა-ფშაველას 1913 წელს ჩამოურთმევია ქედელებისათვის 1000 მანეთზე მეტი ფული. დაპირებია მინდვრის გამოტანას, წასულა. ქედელები ჩივიან: არ ვიცით, ის კაცი ცოცხალია თუ მკვდარიო. მე არა მჯერა, ვაჟამაც ეს ფული მუქთად ჩაუტაროს ქედელებს, იმან ხომ კარგად იცის მათი გაჭირვება“...

ეს ნაცადი ხერხია... ამ ფრაზით – „მე არა მჯერა“ – ვაჟას კი არ ამართლებს „მეთვალყურე“, აქ აღწერილ დანაშაულს ამძიმებს – დაუჯერებელი რამეაო... ამავე მიზანს ემსახურება ხაზგასმა ქედელების სიღარიბეზეც... კორესპონდენციის მიზანი აშკარაა: საზიზღარ დამნაშავედ გამოიყვანონ კაცი, რომელსაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის

შირაქში ქართული სოფლების აღორძინება-ში, რაც (ვთქვით ზემოთ) საფუძველი გახდა იმისა, რომ შირაქმა საინგილოსა და ლორე-ალავერდის ბედი არ გაიზიარა...

დიახ, უმძიმესი ბრალი დასდეს ვაჟას უბინძურესი მეთოდით... პუბლიკაციას ასე-თი „გულისტკივილით“ დაასრულებს „მე-თვალყურე“: „კარგა ხნის უნახავი ქედი კი-დევ ვნახე, მაგრამ რა, დაჩაგრული გული უფრო დამეჩაგრა, როცა მიამბეს ვაჟა-ფშავე-ლას დაუბრუნებლობა“...

პუბლიკაციის მიზანი თითქოს გაუგება-რია: ჩასახლების პროცესი თითქმის დასრუ-ლებულია; 1913 წელია... 10-15 წელია შირაქი დასახლებულია... ეს წერილი ვერ ჩაითვლე-ბა იმ კორესპონდეციათა გაგრძელებად, რუ-სულ ინტერესებს რომ ემსახურებოდა – ხე-ლი შეეშალა ქართველთა ჩასახლებისათვის...

ვაჟა არ არის არც პოლიტიკური და არც სახელისუფლო მოღვაწე; მან მიიჩნია, რომ დაეხმარა მოძმეებს, შეასრულა თავისი მისია

შირაქში, დაბრუნდა ფშავში და განაგრძობს ჩვეულ ცხოვრებას...

„მეთვალყურის“ წერილი არის სწორედ „რატომ კარგია აგიგია!“, ანუ „გველის სამართალი“!.. დიახ, კარგი საქმე უკვე ქმნილია; მოიცალა ბოროტმა ძალამ და... კარგის მქმნელს „მკლავი უნდა მოეკვეთოს“...

ამ პუბლიკაციის შესახებ ვაჟა ოთხი თვის დაგვიანებით შეიტყობს და მოუხდება კიდეც თავის მართლება არჩადენილი „დანაშაულის“ გამო... მეტიც – გაღებული სიკეთის გამო...

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩავარდებოდა ვაჟა, ამ გაზეთს რომ ნახავდა... დავით კლდიაშვილი იგონებს: ვაჟამ როცა აკაკი წერეთლის ლექსი წაიკითხა („ენას გიწუნებ, ფშაველო...“), მითხრაო: „უცნაური ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! (...) უცნაური კბენა იცის ხოლმე!“ – **„ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“,** – დასძენს დავითი... წარმოგვიდგენია, რა

გულისტკივილით გაეცნობოდა იგი „მეთვალყურის“ წერილს...

ვაჟას საპასუხო წერილი გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა 1914 წელს (N 133); არც ეს პუბლიკაცია შესულა ათტომეულში; იგი მოგვიანებით (2003 წელს) გამოაქვეყნა ლევან ჭრელაშვილმა (ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ახლადგამოვლენილი ნაწარმოებები, II წიგნი); რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ ამ, საკმაოდ მძიმე, საპასუხო წერილიდან:

„მეთვალყურეს, ეტყობა ისიც არა სცოდნია, მე რისთვის ვიყავი ქედელებისაგან მიწვეული და სხვა რა უნდა მოვსთხოვოთ?“

„მეთვალყურე“ რომ წერსო, ვაჟა ქედელებს „დაპირებია მინდვრის გამოტანასო“, ცილისწამებაა: „რა შუაშია აქ „მინდვრის გამოტანა?“ მინდორი ქედელებმა დაიჭირეს, ქედში დაესახლნენ. ეს მოხდა 1905-6-7 წწ., როცა შეკვემურობა გამართეს, ფაქტიური მფლობელები შეიქმნენ ქედისა, მაშინ მინ-

დორი გამოტანილი გახლდათ. მეორედ დავალება ვაჟა-ფშაველასათვის, მინდორი გამოგვიტანეო, საჭირო აღარ არის“...

და ვაჟა თანმიმდევრულად აღწერს შირაქში მთიელთა ჩასახლების პროცესს: „მთავრობამ როცა რეაქცია დაიწყო, გაჩაღდა და აქეთ-იქით ნაპერწკლების სროლა დაიწყო, მოიწადინა ქედელების აყრა და ისევ მთებში გადაყრა, (...) მფარველად შეგნებული ქართველები ჰყავდნენ“.

ვაჟა-ფშაველა მკვეთრი აქცენტებით აღწერს შირაქში მთიელთა დამკვიდრების უმძიმეს პროცესს, არას ამბობს საკუთარ დამსახურებაზე, მაგრამ აღწერს უშუალო მონაწილის თვალით:

ხელისუფლება გააქტიურდა; „ძმას ძმას უსისინებდნენ“; „ზოგიერთი მოხელე ქართველთაგანი სწორედ ავაზაკურად ეპყრობოდა ქედელებს; უწოდებდა მოძალადეებს (თავის ნებით დასახლებულებს), ჰყვლეფავდა, ჰღვერავდა და ბევრი გადმოსახლებული

იძულებული გახდა, ისევ მთაში დაბრუნებულიყო; ჩვენდა საუბედუროდ, ზოგიერთი მოხელე დღესაც ამ გზას ადგია“... ვაჟა, გულწრფელად აღშფოთებული ოხრავს: „არ ვიცი, ამისთანა ქართველმა როგორ უნდა ატაროს ქართველის სახელი“?

საჭიროდ ჩათვლის ვაჟა, მოკლედ, მაგრამ მაინც, იმის შესახებაც თქვას, თუ რა როლი ეკისრა მას ამ პროცესში, რასაც უნდა გამოეწვია „ქედელების საჩივარი“: „შარშან, მკათათვეში, რამდენიმე წერილი მივიღე ქედიდან; მთხოვდნენ იქ ჩასვლას; ბოლო წერილს კაციც მოჰყვა, სახელდობრ, ბაზიერ ბაიაშვილი; ამან მომიტანა 30 მან. საგზაო ფული და თითქმის ძალი-ძალად წამომიყვანა – ეგება რამ გვიშველოო“... „უნდა გავიხსენო ის უმსგავსი საქმე, რამაც მე ძალა-უნებურად ქედელების ვექილად გამხადა“... (აქ თუშებთან დაპირისპირებაზე აკეთებს კომენტარს)...

დეტალურად აღწერს იმ მომენტს, რაც საბაბი შეიქმნა „მეთვალყურის“ ცილისწამებისა:

„შარშან შირაქში 300-400 ვერსის სიშორიდან სამჯერ მომიხდა ჩასვლა, წელს მეოთხედ ვიყავი ხან ცხენით, ხან ფეხით. ალბათ აქედან წარმოსდგა ის ცილისწამება, ვითომც მე ფული ჩამომერთმიოს ქედელებისათვის და კი აღარ ჩავსულიყავ“...

წარმოგვიდგენია, რა მძიმე უნდა ყოფილიყო თავმოყვარე, ამაყი მთიელისათვის ამის თქმა, ამის მტკიცება:

„შარშან, პირველად რომ ჩავედი ქედში, ხალხს დიდი ფული დაემზადებინა – 2.400 მან. მაგრამ მე ამ ფულიდან მხოლოდ 800 მანეთი ავიღე და დანარჩენი ისევე უკან დავუბრუნე. ავიღე იმიტომ, რომ თავად ღარიბი კაცი ვარ და სხვაც რომ არა ვსთქვათ, გზას, მისვლა-მოსვლას დიდი ხარჯი სჭირდება.“

და „მომაკვდინებელი“ არგუმენტი მართალი კაცისა: „მე რომ ხალხისთვის ფულე-

ბის დატყუებაზე მევლო, ს. ჩარგალში საქათ-
მეში არ ვიცხოვრებდი და დაგლეჯილი ჩო-
ხით და ჩუსტებით არ ვივლიდი; ფიზიკური
მუშაობით ხელებზე და ზურგზე ტყავი არ
მექნებოდა გადამძვრალი“...

დიახ, მოინდომეს ვაჟა-ფშაველას ცუდ-
კაცობაში საქვეყნოდ დადანაშაულება; შე-
რცხვენა... ძალიან კარგად იციან, ვინ არის
ვაჟა („ჩვენს მთის მგოსანსო“ – წერდა „მე-
თვალყურე“...) და, ვიმეორებთ, ამ ვაჟა-ფშა-
ველას თავი ამართლებინეს არჩადენილი
დანაშაულის გამო (გავიხსენოთ: ვაჟამ თუშ-
თა ადვოკატს ბრალად მექრთამეობა დასდო
– ეს მძიმე დანაშაულიაო)...

დავა აღარ გაგრძელებულა; მოსახდენი
მოხდა: ტაძრის ამგებს მკლავი მოჰკვეთეს –
რატომ კარგი აგიგიაო...

ვაჟა-ფშაველაზეც „იზეიმა“ „გველის სა-
მართალმა“ – „კარგისთვის კარგი არავის უქ-
მნიაო“.

ასეთ შემთხვევაში მოგებული ვინაა? გამარჯვებული ვინაა? – რა გითხრათ...

* * *

როგორც ჩანს, უმადურობა გავრცელებული სენია, ამიტომ შეგვახსენებს უწმინდესი და უნეტარესი: „ერთ-ერთი ცოდვა, რომელიც გააჩნია ადამიანს, არის უმადურობა. უმადური არ უყვარს არც ღმერთს და არც ადამიანს“... და მოგვიწოდებს, დავძლიოთ იგი...

სწორედ მოვლენის ღრმად გააზრებისთვის დავისახეთ მიზნად თვალსაჩინო მაგალითების წარმოჩენა...

გიორგი ლეონიძე „ნატვრის ხეში“ ამბობს: სამი რამე აკლია ქვეყანას: ცას კიბე, ზღვას ხიდი და წუთისოფელს სამართალიო. ცამდე კი არა, ცის იქითაც გააღწია ადამიანმა... აღარ გახდა კიბე საჭირო. ზღვათა და ოკეანეთა ერთი ნაპირიდან მეორემდე ჩალაგდა საკომუნიკაციო საშუალებები – ელექტროკაბელები თუ გაზისა და ნავთობის

მილები. აი, სამართალი კი კვლავაც გვაკ-
ლია; სამართალს არ დაადგა საშველი, სულ
მცირე წინსვლაც კი არ შეიმჩნევა, უფრო
სწორედ, რა სამართალიც წუთისოფელს
აქვს, ეს გველის სამართალი უფროა... და ეს -
ძველი სამართალია... ძველისძველი... არაერ-
თგზის ნაზეიმები და გამარჯვებული...

(კიდევ ერთი მარცვალი უმადურობის
შავი კრიალოსნისა)

ამბავი იაკობისა

ქართველ მოღვაწეთა შორის იაკობ გოგებაშვილი გამორჩეული იყო იმითაც, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მის მიმართ აშკარა იყო ორგვარი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, ღირსი შეფასება მისი ნაღვაწისა და დაფასება; მეორე მხრივ, როგორც საბა იტყოდა, „ნაკეთურისთვის“ ავით მიგება...

იაკობის ბუნება ასეთი იყო: ქებასა და პატივს თავდახრილი მადლიერებით ხვდებოდა; ხოლო უსამართლო კრიტიკას უპასუხოდ არ ტოვებდა. გასაგებია: კრიტიკა იაკობის სახელმძღვანელოებსა და მის საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეხებოდა... პასუხის გაცემა უსამართლო კრიტიკისათვის სასწავ-

ლო პროცესის სიჯანსაღისთვის იყო საჭირო; საგანმანათლებლო ინტერესები უპასუხობას ვერ იგუებდა... ამიტომ ამბობს:

„რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხანგამოშვებით გაუკეთესოებას, ათი იმდენი დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“...

მოდით, ჯერ ეს ვთქვათ, რა ფასეულობა იყო ჩვენი ერისთვის „დედაენა“ და მერე – ვინ ებრძოდა მის ავტორს, რატომ და როგორ.

1876 წელს გამოვიდა „დედაენა.“ დღეს უდავოდ მიიჩნევა აზრი, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“ (გრიგოლ აბაშიძე).

ეს აზრი არ გაჩენილა მე-20 საუკუნეში; 1876 წელსვე თქვა დიმიტრი ყიფიანმა: „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამო-

სადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილიო“...

„დედაენისა“ და მისი ავტორის შეფასებათა გვირგვინი გვგონია აკაკი წერეთლის მიერ ილიას სიცოცხლეში თქმული ხოტბა: „იაკობის სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინ არის ისეთი ქართველი, რომ იაკობის „დედაენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა? იაკობ გოგებაშვილი ღირსია იმისა, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“...

მაგრამ... ძეგლი კი არა და...

ჰო, ვისგან იცავდა იაკობი თავის „ნაკეთურს“; ვინ ებრძოდა, რატომ და როგორ?..

იაკობს „მტრები ბევრი ჰყავდა – შინაური და გარეულიო“, – წერს ივანე გომელაური. „გარეშე მტრები იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან, ყველა მისი ყურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი პედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“. ცხადია, ისინი ვერ ეგუებოდნენ იაკობის მიერ სასკოლო განათლების საფუძვლად აღებულ მთავარ პრინციპს – **ეროვნულობას**... იაკობი ღვთისა და თანამებრძოლთა შეწევნით ღირსეულად უმკლავდება მათ...

უფრო მეტად საშიში შინაური მტერი იყოო... „შინაურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგივრად სკოლებისათვის მიეჩეჩებინათ შეთითხნილი სა-

ხელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგან ის უფრო შემოსავლიანი იყო“...

ჰოდა, ამ „შინაურებმა“ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალინეს ხელისუფლებას... მაგრამ „დედაენას“ ვერაფერი დააკლეს და...

„კარგის მაგიერ ავის მიგების“ დიდოსტატებმა იციან, კარგის მქნელს როგორ ატკინონ გული... თუ შეძლებენ, ხელი ააღებინონ საშვილიშვილო საქმეზე... „დედაენის“ შემოქმედის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების ერთ ფაქტს გავიხსენებთ მხოლოდ:

იოსებ იმედაშვილი იგონებს: „ერთხელ ჟურნალ „ნიშადურში“, ვითომდა კორექტურული შეცდომაა, იაკობ გოგებაშვილის ნაცვლად „მოგებაშვილი“ დაწერესო“...

არ იყო ეს უბრალო, უმტკივნეულო „კორექტურული შეცდომა“: კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება უანგაროდ ემსახურებოდა საზოგადო ინტერესებს, კერძო ინტერესები-

სათვის (პირადი გამდიდრება-განდიდებისა-თვის) სარფა-გამომრჩენად გამოიყვანეს... „სახსრის ტრფიალისა და კუჭის პრინციპის“ წინააღმდეგ მებრძოლ იაკობს „მოგებაშვი-ლი“ დაუძახეს. ეს არ იყო უმნიშვნელო შე-მთხვევა; ქართველთა დიდი მოკვეთე არტურ ლაისტი წერდა: „იაკობი მეტისმეტად მგრძნობიარე ნერვიული სისტემის პატრონი იყო და ყოველ უსიამოვნებას და წყენას ძა-ლიან მწვავედ განიცდიდაო“... ცხადია, ეს იცოდა მტერმა და ამიტომაც დაუძახეს „მო-გებაშვილი“... ეს ვერაგულად გამიზნული „ბრალდება“ იყო... გავიხსენოთ ცნობილი შე-გონება: თუ გინდა წონასწორობა დააკარგვი-ნო, „დააბრალე ის, რის წინააღმდეგაც იბ-რძვის მთელი ცხოვრების მანძილზეო“ და... ასეც იქცევიან...

არადა, ცნობილი ამბავია: „იაკობ გოგე-ბაშვილი დიდი გაქანების ქველმოქმედი იყო“ (ალ. მიქაბერიძე)... ქველმოქმედების უამრავ მაგალითს ჰყვებიან...

„იაკობს მართლა შეეძლო მდიდარი ქართველი ყოფილიყო, ეს რომ დაესახა მიზნადო“ (ნ. ლომოური); „თუ ნატრობდა, მეტი ჰქონოდა შემოსავალი, მხოლოდ იმისთვის, მეტი სიკეთე რომ გაეღო“... მაგრამ პრაქტიკულად ასე იქცეოდა: „წერის დედანი“ „დედაენაში“ გადაიტანა, ისე რომ წიგნის ფასი არ გაუზრდია (ღარიბ ქართველებს უჭირთ წიგნის შეძენაო)... ამავე მიზნით 1906 წელს ცალკე დაბეჭდა საანბანე ნაწილი „დედაენისა“ და 10 კაპიკი დააფასებინა... და სხვა... და სხვა...

და ამ შეგნების, მგრძნობიარე ნერვიული სისტემისა და ფაქიზი სულის ადამიანს საქვეყნოდ „მოგებაშვილი“ დაუძახეს... მეტიც, თურმე „უანგარიშეს“ კიდეც: „გოგებაშვილს „დედაენიდან“ წლითი-წლობით შემოდის 250 თუმნამდეო“ (ეს იმ დროისათვის დიდი თანხა იყო)... და ეს სჭირდებათ იმისა-

თვის, რომ დაამტკიცონ: იაკობი ხალხს ყვლეფსო...

წარმოდგენილი გვაქვს, რას განიცდიდა იაკობ გოგებაშვილი, როცა ამ პუბლიკაციას გაეცნო და მერე, როცა იძულებული გახდა, ასე ვთქვათ, საზოგადოებისათვის „ფინანსური ანგარიში“ წარედგინა...

წერს: „ეს რომ ნახევრობით მართალი იყოს, მე ახლა მდიდარი ქართველი ვიქნებოდი. ავიღოთ, მაგალითად, უკანასკნელი გამოცემა „დედაენისა“, რომელიც 18000 დაიბეჭდა. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ გამოცემიდან ჩემი ჰონორარითურთ უნდა დაეხარჯა, პირობისამებრ, 3600 მანეთი. აქედან წიგნის გამოცემას მოუნდა 2000 მანეთი და ჩემ წილად დარჩა1400 მანეთი, რომელიც მე უნდა მეძლიოს თვიურად, ვიდრე წიგნი გაიყიდებოდეს. რადგან „დედაენა“ ამჟამად იყიდება 10000-მდე წელიწადში. ამიტომ უკანასკნელი გამოცემის გასაღებას მოუნდება თითქმის ორი წელიწადი. მაშასადამე, წე-

ლიწადში „დედაენა“ მაძლევს 700-800 მანეთს და არა 2500 მანეთსა“... „ანგარიში გრძელდე-ბა: „ისე შემცირდა ჩემი წლიური შემოსავალი, რომ იგი ძლივსღა მყოფნის“... და იაკობი დარდობს მხოლოდ იმას, რომ ხელს ვეღარ უმართავს ღარიბ სტუდენტობას...

იციან ეს და... ამიტომაც დაუძახეს „მო-გებაშვილი“ ... იაკობიც იძულებულია, გამო-ეხმაუროს, რადგან იცის – ცნობისმოყვარე საზოგადოების ინტერესი დიდია ამგვარი ჭორებისადმი; იოლად იჯერებს და იმახ-სოვრებს მას.

თემატური გადახვევა: ერთი ისტორიკო-სი გვიყვებოდა, წიწამურში სუფრაზე ადგი-ლობრივებმა ილიას სადღეგრძელო არ შე-სვეს – ტირანი იყოო...

რას ერჩოდნენ იაკობს? თქვა საბამ: ოდითგანვე ასეაო...

იაკობი 1912 წელს გარდაიცვალა... თუმ-ცა ასე შეიძლება ვთქვათ: სანამ „დედაენა“ ცოცხალია, იაკობიც ცოცხლობს...

21-ე საუკუნის დასაწყისში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში დაისვა საკითხი იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვის თაობაზე. ითქვა: იაკობი თავისი საქმიანობით, მოღვაწეობით, ცხოვრების წესით, პიროვნული თვისებებით ამას იმსახურებსო... ეს ფართო საზოგადოების მსჯელობის თემა არ შეიძლება იყოს; მისი განხილვა და გადაწყვეტა წმინდა სინოდის პრეროგატივაა...

და მოხდა უცნაური რამ: დაიბეჭდა წიგნაკი „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად ინტრონიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ“ (ედიშერ ჭელიძე, 2011). ეს წიგნაკი კრიტიკოსმა (საერო პირმა) სხვადასხვა ეკლესიის მრევლში გაავრცელა... რაც შეიძლება ფართო წრე დაერწმუნებინა, შეექმნა სახოგადოებრივი აზრი, რომ იაკობ გოგებაშვილი წმინდანობას არ იმსახურებს, უღირსი კაცია...

ამთავითვე ვთქვათ: იშვიათია ასეთი თავგამოდება მთავარმოღვაწის ინტერესების

დაცვისა, ჭეშმარიტების გარკვევის სურვილისა, როგორიც იაკობ გოგებაშვილისათვის გამოიჩინა ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე; იხ. 2011 წლის ნომრები)...

რომ არ გადავღალოთ მკითხველი, მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ ამ უდიდესი მოღვაწის მიმართ გამოთქმული „ბრალდებებიდან“: „იაკობ გოგებაშვილისათვის უცხოა ერთი წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ცნება“; იგი ჩვენი სარწმუნოების მიმართ გამოთქმული მკრეხელური აზრებით „უპირობოდ ანათემას ექვემდებარება“ და არა წმინდანად შერაცხვას... რომ იაკობი ქართველ ხალხს ველურ ტომად აცხადებს, რომელსაც არასოდეს ჰქონია წმინდა წერილი; რომ იაკობი მტერია საქართველოსი და ქართველი ხალხისა და ა. შ...

დღეს, როცა ხელახლა გადავხედეთ „კრიტიკოსის“ „ნაღვაწს“, ყურში საბას არაკის პერსონაჟთა შემახილი გვესმოდა – „მოუჭირე, გველო“...

ამგვარი „აზრების“ გამეორებაც კი მკრეხელობა გვგონია... ჟურნალის ერთ-ერთი პუბლიკაციიდან „კრიტიკოსის“ „ნააზრევის“ შეფასებას მოვიყვან:

„ეს არის დიდი ქართველი მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის შეურაცხმყოფელი ნაშრომი, ცილისმწამებლური ბრალდებანი, განგებ დამახინჯებული წაკითხვა ი. გოგებაშვილის ტექსტისა“... „მიზანმიმართული გაყალბება ფაქტებისა, არასწორი ინტერპრეტაცია იაკობ გოგებაშვილის აზრისა“... „გაუფასურება ი. გოგებაშვილის ღვაწლისა; მეტიც, ყოვლად უარყოფითად შეფასება და წარმოჩენა დიდი ქართველისა“...

(არათემატური გადახვევა: ქუთაისში მოვისმინეთ – მავანს უთხრესო, „რას აკეთებ, სირცხვილიაო“ და უპასუხაო: „მე თუ არ მრცხვენია, მაინც სირცხვილიაო?“)

მიზანი კრიტიკოსისა? – რა გითხრათ...

ძველთაგან თქმულა: „არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“...

როგორც ვხედავთ, „პრინციპი“ (თუ „გველის სამართალი“) – „რატომ კარგი აგიგია?!“ – დღესაც მოქმედებს იაკობ გოგებაშვილის მიმართაც...

დღეს რაღატომ? სანამ ცოცხლობს იაკობის საქმე, ცოცხალია იაკობიც... მასთან დაპირისპირება ბოროტისათვის თავის დამკვიდრების საშუალებაა (ჰეროსტრატეს კომპლექსი)...

„კრიტიკოსი“ მიზანს „აღწევს“ – საკითხის განხილვა შეჩერდა; თავად კი იქცა ჩვენი დროის ჰეროსტრატედ (და იმ მრავალ ჰეროსტრატეთა რიგში ჩადგა)...

„მე დავაბრალებ და მან ამტკიცოს, რომ ასე არ არისო“ – ეს მეთოდი მოიმარჯვა „კრიტიკოსმა“ და აბსურდული ბრალდებანი „შემოაგდო“... ვთქვით, მალემრწმენი მრევლი ჭორს იოლად იჯერებს და იმახსოვრებს...

„იზეიმა“ „გველის სამართალმა“...

რა დააკლდა იაკობს? –არც არაფერი...

რა შეემატა „კრიტიკოსს? – ასეთზე იტყვიან, მაგის მეტი ნურა შემატებოდესო რა!...

უმადურობის კრიალოსანს კი კიდევ ერთი შავი მარცვალი მიემატა...

ეს ფიქრიც აგვედევნა:

მადლის მქმნელთა და ტაძრების მშენებელთა თანამედროვეებს რაღაცა სათქმელი თუ შეიძლება მაინც ჰქონდეთ, რაღაცით თუ შეიძლება მაინც იმართლონ თავი, აქაოდა გვერდით მყოფთა მიერ ქმნილი სიკეთე ვერ შევამჩნიეთო, ვერ შევაფასეთო სწორად, რადგან სიახლოვემ ჩვენი სამზერი გააბუნდოვანაო, დაბინდაო, აამღვრიაო, ხედვის კუთხე გაგვიმრუდაო... შთამომავლებს რაღა ღმერთი უწყრებათ, ასობით წლის შემდგომ წინაპართა ნაღვაწს რომ ბილწავენ და შეურაცხყოფენ; მართლაც „გველის ჩონჩხზე აწყობილი“ უნდა იყოს კაცი (პოეტის ფრაზაა), რომ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ იაკობ გოგებაშვილზე აუგის სათქმელად ენა მოუბ-

რუნდეს!.. ანდა ვინმე სხვას 250 წლის მერე ერეკლე მეორის მიმართ უგვანო სიტყვები დასცდეს... მოღალატე და გამყიდველი უწოდოს გმირს, რომელსაც თავისი სიცოცხლის 78 წლის განმავლობაში ალბათ 78 წამიც არ გაუტარებია სამშობლოზე ფიქრისა და ზრუნვის გარეშე... ამ ვაიმოღვაწის ამგვარ შეფასებას ღირსეულად გამოეხმაურა ცნობილი მწერალი: ჰკითხეს, ამის თაობაზე რას იტყვიო და – პატარა კახზე მე როგორ უნდა ვთქვა რამე, როცა მის სხეულზე სამშობლოსათვის ბრძოლებში მიღებული 80-მდე დიდი თუ მცირე ჭრილობა დათვალეს, მე კი მამულისათვის ერთი ნაკაწრიც არა მაქვსო...

რაკი ერეკლე მეორე გავიხსენეთ, ესეც ვთქვათ: დღევანდელ საქართველოში ივიწყებენ იმას, რაც პატარა კახის შესახებ ზემოთ ვთქვით და მისი ღვაწლის შეფასებას რუსეთთან დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიხედვით ცდილობენ. თავიანთი სამზერი „ჭუჭრუტანიდან“ ჭვრეტენ და აფა-

სებენ; უწუნებენ მეფეს გადაწყვეტილებას; პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას; გამჭრიახობას... რა არის ეს - ერეკლეზე მეტად მამულისმოყვარეთა მიერ საღი განსჯა მომხდარი ფაქტისა, თუ...

თუმცა რა „თუ“?..

„რატომ შეუერთაო რუსეთს თავისი სამეფოო“, „რატომ ჩააბარაო“, „რატომ გადასცა მემკვიდრეობაო“... არც წაუკითხავთ ის ტრაქტატი, ისე განსჯიან... მთავარია, აუგი თქვან... ეს ის ხალხია, იაკობმა „შინაური მტერი“ რომ უწოდა; რომელთათვისაც მხოლოდ გველის სამართალი არსებობს... ნაირა გელაშვილი თავის რომანში „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ აკაკი ბაქრაძის აზრს გვიზიარებს: „მთელი ცხოვრება თავს ვიმტვრევდი, რატომ შეუერთა (?!) ერეკლე მეორემ საქართველო რუსეთს, ჩვენზე მეტი პატრიოტი იყო, სხვა თუ არაფერი, კაცი ასი ჭრილობით ჩავიდა მიწაში-მეთქი, და ახლა მივხვდი: გარეშე მტრების კი არა, არამედ ქარ-

თველების შიშით გააკეთა ეს, რომ ქართველებს ერთმანეთი, ანუ საკუთარი თავი არ ამოეწყვიტათ!“

კი, ამგვარ ფიქრსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რას შველის... ავი ზრახვა ჰქონდაო, ამგვარი რამის გაფიქრებაც კი მკრეხელობაა, დიდი ცოდვაა... უმადურობაა... ისე კი მრავლის მნახველთა და გამგონეთ არ გვიკვირს: კარგისთვის კარგს არც პატარა კახი მოელოდებოდა ალბათ...

მაგრამ „გველის ჩონჩხზე აწყობილ კაცს“ სხეული სთხოვს, შინაგანი ბუნება არ ასვენებს, რომ არ იმკრეხელოს... (და ეს გველის ჩონჩხი, რაზეც ასეთი კაცები არიან აწყობილი, ნეტა იმ პირველი ბიბლიური გველისაა, თუ მისი პირდაპირი შთამომავლისა?..) მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ბუნება ლაფში ამოსვრილთა – სხვაც უნდა გასვარონ... აი, ამნაირ ავკაცს კი ნამდვილად არ უნდა გაუწოდო ხელი წუმპიდან ამოსაყვანად, რადგან სულ

ერთია, მაინც არაფერი ეშველება: გველი კანს რომ იცვლის, მაინც გველად რჩება, რადგან გველს გველობას ჩონჩხი ანიჭებს... ხომ გაგიგიათ, არცა კირჩხიბი სწორად ვალს და არცა კუდი ძაღლისა განიმართების...

* * *

კაცობრიობის ისტორიას თუ მხოლოდ იმ სამზერიდან გავხედავთ, საიდანაც ამ წუთას ჩვენ ვუმზერთ, ცხოვრება ადამ-პაპიდან დღემდე ერთიანად უმადურობათა სქელი და ჩასორსლებული ჯაჭვით ნაქსოვი მოგვეჩვენება. ნეტავ რა დაწყევლილი გესლიანი ნივთიერება შეერია იმ თიხას, რომლისგანაც ადამის სხეული აშენდა, რომ აქამდე არ იქნა და არ გამოილია?! ან ეგეთი რა მადლი, რა სათნოება დაანათლა ჩვენს სულს გამჩენმა, რომ სიკეთის ქმნის მოთხოვნილება ჯერაც არ გაგვნელებია, მადლის ქმნა და ქვაზე დადება არა გვბეზრდება, თორემ...

რაღა თორემ, გინდაც ბიბლიისა და გინდაც სხვადასხვა ხალხთა მითოლოგია ასეთი

მაგალითებით არ არის სავსე? აჰა, მოდი და უმადურობის ურიცხვთვლებიანი კრიალოსნის ჩამომარცვლა სულ თავიდან დავიწყოთ:

აბსოლუტურმა სიკეთემ – ღმერთმა – შექმნა ადამი, მიუბოძა ცოლი, სამუდამო სამყოფად უწყალობა სრულიად ედემი და ყოფა უზრუნველი. სანაცვლოდ მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამე სთხოვა: ცნობადის ხის ნაყოფს ნუ იგემებთ, თორემ ამით ჩემი უპირველესი მტრის, სატანის, ანუ ბოროტების მხარეს აღმოჩნდები, მის სამსახურში ჩადგებიო... მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით: ეს უმადურობის ჩვენამდე მოღწეული პირველი შემთხვევა გახლავთ...

ჰოდა, ამის შემდეგ უმადურობა ჩვენს ყოველდღიურობად იქცა...

ის კი არა, კაცი იფიქრებს, სიკეთის მქმნელთათვის ჯვარზე გაკვრა გარდაუვალი სამადლობელიაო. აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ? იესოზე დიდი სიკეთე ვის უქმნია ჩვენთვის: იტვირთა ჩვენი ცოდვები და მარა-

დიული სიკვდილისაგან გვიხსნა. ჩვენ კი რით ვუპასუხეთ? „ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე!“ – ავბღავლდით გონგადასულები...

ვახტანგ მეექვსეს აქვს ერთი ხუთსტროფიანი ლექსი: იესო ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რაც მოუტანა ადამიანებს და ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონად იმეორებს: „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა, აღმიმართეს საკვდად ჯვარიო“... ბოლო სტროფს შეგახსენებთ:

„ხორცი ვისხენ ქალწულთაგან, ვიქმენ
მათი შენამყვარი,
ბრმათა თვალი აღუხილე, მკელობელი
მათი ვარი,
სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინე
მათი მკვდარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა, აღმიმართეს
საკვდად ჯვარი.“

ეგეთი რა სნება გვჭირს, ადამიანო, რომ აქამდე ვერ ვუაქიმეთ; შე კაი კაცო, მადლის მთესველებს თუ სათანადო პატივს ვერ მივა-

გებთ, ჯვარზე მაინც ნუ მივალურსმავთ, მკლავს მაინც ნუღარ მოვჭრით, ნათელ შუბლს ტყვიით მაინც ნუ გავუხვრეტთ წიწამურის გზაზე...

ხშირად სიკეთის მქნელები უხმოდ, სამდურავის გარეშე უჩინარდებიან, არაფერს გვაყვედრიან, დავიწყების ბურუსში ინთქმებიან. მადლის მიგებასა და დაფასებას კი მათი საქმენი, ნაქნარი და ნამოქმედარნი მოითხოვენ. ნაშრომი განძად დაშთებისო, ჩაგვაგონებენ და სწორედ ეს განძი მოითხოვს მადლიერებას იმათგან, ვისაც ეს განძი დაუტოვეს.

სიკეთის დაუნახაობის, მადლის მატლად გადაქცევის მაგალითებს რა ჩამოთვლის: აგერ იქიდან, შორიდან, უამრავი გმირობის ჩამდენი დიდი სციპიონ აფრიკელის ეპიტაფია ამუნათებს თავის ქვეყანას, ძველ რომს: უმადურო სამშობლოვ, შენ ვერ ეღირსები ჩემს ძვლებსო! აქ კი, სულ ახლოს, ერთი არაფრით გამორჩეული ქუთაისელი

თერძი, სიმონ საყვარელიძე, ივედრება, ჩემი ნაქნარის სანაცვლოდ ერთი პატარა მედალი მაინც მაღირსეთო.

სციპიონ აფრიკელის შესახებ მსოფლიომ იცის; მოდი, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, ჩვენი გავიხსენოთ. ვინ იყო სიმონ საყვარელიძე? ვინა და ერთი ქუთაისელი უბრალო მკერავი, რომელმაც ბედის გახუმრებით, თუ აუცილებლობით ტყიბულის ქვანახშირის საბადო აღმოაჩინა. იმხანად ნახევარი იმერეთი სიმონს დასცინოდა: მაგას ჭკუა რომ ჰქონდეს, მშვენიერი ხელობა აქვს, იმას მიხედავდა, ხევხუვებსა და ღარტაფებში კი არ იხეტიალებდაო...

მისი გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე „დროებაში“ წერდა: „საიდან ჰქონდა ამ კაცს შეძენილი მადნეულობის ცოდნა, არ ვიცი და ვერც გავიგე. ნამდვილი კი ისაა, რომ ეს კაცი ნიადაგ დადიოდა მთებში ერთი პატარა ჩაქუჩით და აგროვებდა სხვადასხვა მადნეულებს... მის სახლში ამ

მადნეულობის მეტი არაფერი დარჩენილა და ისიც მეზობლებმა დაფანტეს, ბავშვების სათამაშოდ; ვინ იცის, რამდენი ძვირფასი და სასარგებლო ჩაიტანა ამ კაცმა თავის საფლავ-ში და რამდენი ხნის და კაცის შრომა და-სჭირდება ეხლა ჩვენს ქვეყანას იმ საიდუმ-ლოების ხელახლა აღმოსაჩენად, რომელიც ამ კაცს ნაპოვნი ჰქონდა და რომელსაც ასე იაფად აფასებდა!..“

მაგრამ სიმონ საყვარელიძე ღმერთმა აცხონოს და სასუფეველი დაუმკვიდროს და თვით დიდ ნიკო ნიკოლაძეს უარესი არ და-მართეს მისმა თანამედროვეებმა?!

(კიდევ ერთი მარცვალი
უმადურობის შავი კრიალოსნისა)

ამბავი ნიკო ნიკოლაძისა

1928 წელს (ეს ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალების წელია) ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „ჩვენი აზროვნების ისტორიას ახსოვს დიდ სახელთა მთელი წყება, რომელნიც თავისი დროის ფიქრთა მპყრობელებად ითვლებოდნენ. მათ რიცხვს ეკუთვნის ნიკო ნიკოლაძეც.

იგი იყო „თერგდალეულთა“ შტაბის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელმაც ღრმა მოხუცებულობამდე შეინახა აზრის სინათლე, განცდების ახალგაზრდობა და ნებისყოფის დუღილი. თუ მესამოცე წლების მოღვაწეები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმატორებად ჩაითვლებიან და თუ ამ მოწინავე ელემენტებს თავისი სა-

რდლები ჰყავდათ, ესენი იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. ეს ორი დიდი ადამიანი იყო, ჩვენი ცხოვრების ყველა გზაჯვარედინზე რომ ჩასაფრდა, ილია ჭავჭავაძე თავისი ფილოსოფიური ჭკუით და დიქტატორის სიმტკიცით, ნიკო ნიკოლაძე კი მოურიდებელი სიახლით, დიდი პრაქტიკული გონებით და გრანდიოზული პერსპექტივებით. იქნებ ნიკო ნიკოლაძე რომ არ ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძეს იმდენი ვერც გაეკეთებინა, როგორც ცალად დარჩენილს...“

სამშობლოსათვის მის მიერ გაწეული ღვაწლის ჩამოთვლა ეგრე იოლი არ იქნება. ამაზე ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება; ჩვენ ამჯერად ნიკო ნიკოლაძის მიერ მხოლოდ ქალაქ ფოთისათვის სასიკეთო ნაშრომნაღვაწზე ვისაუბროთ.

„ფოთის ადგილ-მდებარეობის უცუდესი მხარე ის არის, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია, – წერდა 1871 წელს ნიკო ნიკოლაძე. – დიდი წვიმებისა და რიონის წყალდიდო-

ბის დროს ქალაქი წყლით სავსეა... რასაკვირ-
ველია, ამისთანა დაცემულს და წყლიანს ად-
გილს მეტად ნოტიოიანი ჰავა აქვს. პირველი
შეხედვით, კაცი იტყვის, რომ ის ხოლერისა
და ყველა გვარი ციებ-ცხელების ბუდე უნდა
იყოს და მართლაც აქაური ჰავა კარგი არ
არის, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ის იმდენად
ცუდი და მავნებელი არ ყოფილა, როგორც
საფიქრებელია...

... ფოთის გასაშრობად საჭიროა რიონის
ნაპირის დაგუბება და ამაღლება, მთელი ქა-
ლაქის სივრცეზე დიდძალი ქვიშის მოყრა და
რუების გაყვანა... ფოთს დიდი როლი და
კარგი სვე მოელის მომავალში; რკინის გზა
მალე შეაერთებს მას თბილისთან, მერე კას-
პიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზი-
ასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინ-
დოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დი-
დი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და აღებ-მი-
ცემა ერთი მხრით ევროპასა და მეორე
მხრით საქართველოს, შუა აზიასა და სპარ-
სეთს შორის, და ფოთს თავისი პორტით ექ-

ნება დიდი მნიშვნელობა. იგი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი; იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც...“

დიახ, ამას წერდა ნიკო ნიკოლაძე 1871 წელს, 150-ზე მეტი წლის წინათ. ეს ხომ სწორედ ის სავაჭრო-ეკონომიკური გზა არის, რომელსაც დღეს „შუა დერეფანს“ უწოდებენ და არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მსოფლიოსთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს: ეს წერილი წერილად და ამის მერეც კაი ოცდასამი წელი ფოთის საკეთილდღეოდ არაფერი გაკეთებულა, მომხმარედ არსაიდან არავინ ჩანს და ფოთის მესვეურები გადაწყვეტენ, საშველად ნიკო ნიკოლაძეს მიმართონ...

შემდგომი ამბები მშვენივრად აქვს მოთხრობილი აკაკი ბაქრაძეს თავის ბიოგრაფიულ რომანში „ნიკო ნიკოლაძე“ და ჩვენს საქმეს ნამდვილად წაადგება, ერთ მოზრდილ ეპიზოდს ამ წიგნიდან თუ მოვიტანთ.

ჯერ ფოთელ ხმოსანთა სათხოვარს გავეცნოთ ნიკო ნიკოლაძისადმი:

„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ფოთის სათათბიროს ხმოსნები მოგმართავთ თქვენ თხოვნით, რომელიც ვიმედოვნებთ, არ მოგეჩვენებათ თავხედობად ჩვენი მხრიდან. ქალაქი ფოთი მძიმე ავადმყოფს გავს, რომლის განკურნებისათვის აუცილებელია გამოცდილი ექიმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უარს არ იტყვით მის დახმარებაზე. ჩვენ ოცდახუთ წელზე მეტი თვალს ვადევნებთ თქვენს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვხედავთ, რომ არ იშურებთ ცოდნას და ენერგიას, არ ჩერდებით არავითარი დაბრკოლების წინაშე და სახელოვნად ატარებთ მოწინავე კავკასიელის დროშას, იბრძვით ქვეყნის წარმატებისათვის. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ფოთის სათათბიროს თქვენი სახელიც ამშვენებს.

ჩვენი ქალაქის მძიმე მდგომარეობის პირობებში საფუძველი გვაქვს მოგმართოთ

თქვენ თხოვნით, ჩაუდგეთ სათავეში... გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, წამოვაყენოთ თქვენი კანდიდატურა ქალაქის თავის თანამდებობაზე. თქვენ იქნებით ერთადერთი კანდიდატი. ვიმედოვნებთ, რომ დადებითად გვიპასუხებთ“.

მკითხველს ვთხოვთ, დაიმახსოვროს ეს მიმართვა.

ახლა კი დაპირებული ეპიზოდი აკაკი ბაქრაძის წიგნიდან:

„1894 წლის 25 ოქტომბერს ჩატარდა ფოთოს ქალაქის თავის არჩევნები. 210 კაცი მონაწილეობდა არჩევნებში. 193 კაცმა ნიკო ნიკოლაძეს დაუჭირა მხარი. 17 წინააღმდეგი იყო.

ნიკო ნიკოლაძე მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ნიკო ნიკოლაძის ოცწლიანმა საქმიანობამ ძირეულად და არსებითად შეცვალა ფოთის მდგომარეობა. 1913 წელს ჟურნალ „კლდის“ კორესპონდენტი აღტაცებით წერ-

და: „ამ ოცი წლის წინათ პირველად ვიხილე ფოთი. იმ დროს იგი მოზრდილ სოფელს ჰგავდა, ვინემ ქალაქს, წუმპე-ტალახიანი ბნელი ქუჩები, ხის პატარა სახლები, ჭუჭყიანი უშნო დუქნები, ციებ-ცხელებით შეპყრობილი უძალღონო, უფერული ხალხი, ირგვლივ ჭაობები... აი, რა იყო იმ დროის ფოთი...

ამ დღეებში შემთხვევა მომეცა, კვლავ მენახა ეს ოდესღაც საცოდავი ფოთი. ღმერთო ჩემო! რა ნახა ჩემმა თვალებმა! ნუთუ ცხადია და არა სიზმარი! თილისმას გარდაუქმნია იგი ამ ოც წელიწადში მშვენიერ ქალაქად: დამშრალი ჭაობები... ვრცელი და სწორი მოკირწყლული ქუჩები, ხისა და ქვის ორსართულიანი ლამაზი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული ბაზარი და კოხტა დუქნები, პატარა წყალსადენი, ცხენის კონკა და ელექტრონით განათება – აი, რა ვნახე დღეს ფოთში...

ნეტა ვინ მოახდინა ეს სასწაული?! ვინ არის ის ჯადოსანი, რომელმაც გააცოცხლა

მკვდარი ფოთი და გარდაქმნა ამ მშვენიერ ქალაქად?! ვინ ააყვავა დამპალ ჭაობებში საქართველოს ეს ქალაქი და აქცია იგი პირველხარისხოვან ბოღაზად, რომლის ნავსადგური სავსეა დღეს ოკიანის გემებით და რომლის საქონლის გატან-შემოტა უდრის წლიურად 100 მილიონ ფუთს?! ვინ აღძრა და აამოძრავა ფოთის სიცოცხლის ძარღვი?! ეს გახლავთ ნიკო ნიკოლაძე.“

1914 წელს გაზეთი „თემი“ (N 161) აღნიშნავდა: თუ 1895 წელს ფოთის ბიუჯეტი 75000 მანეთი იყო, 1914 წელს იგი 723387 მანეთს უდრისო, აი, გაკეთებული საქმის კონკრეტული დადასტურებაო.

მამანტი პაჭკორიას წიგნში – „ფოთის წარსულიდან“ – გამოქვეყნებულია დოკუმენტი. იგი დაწერილია 1914 წელს და მიმართვა ფოთის ქალაქის ხმოსნების ამომრჩეველთადმი. მიმართვაში ჩამოთვლილია ისიც, რაც უკვე გააკეთა ნიკო ნიკოლაძემ და ისიც, რის გაკეთებასაც მომავალში აპირებდა...

რა გააკეთა:

1. წყალდიდობისაგან აკლებულ ფოთს ულმობელ სტიქიისაგან შველა ესაჭიროებოდა, ამისათვის ქალაქს ირგვლივ ჯებირი შემოავლო და ახლა წყალი ისე თავისუფლად ვერ დასეირნობს ქუჩებში, როგორც წინათ!

2. შავს ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღდგენას ლამობდა და გააცოცხლა ნავსადგურის განახლებით, ფოთსა და საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა. ევროპა დაგვიახლოვა, აღებ-მიცემობა გააძლიერა.

3. გადაჭიმა სამი ხიდი, რომელთაგან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს და მესამე – ფოთელების მასაზრდოებელ გურიასთან.

4. ახალი ხიდების აგებით გააუქმა მდინარე მალთაყვაზე და რიონზე ნავებით გადასაყვან-გადმოსაყვანი უზომო გადასახადი გაჭირვებული ხალხის შემავიწროებელი.

5. მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი.

6. ააშენა ელექტროსადგური, რომელიც პორტსა და ქალაქს ანათებს.

7. გააბა ტელეფონის ქსელი, რომლებიც თავმორთულ კეკლუც პატარძლებივით ქუჩებს ამშვენებს.

8. გააკეთა ნაცვლად დახავსებულ სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების ხის სახლებისა, ლამაზი აგურის ორსართულიანი შენობები, რომელსაც მხარს უმშვენებენ ახლადდაარსებული ქალების და ვაჟების გიმნაზიის ქვის შენობები და სხვა სკოლები.

9. უხერხულ ადგილას მოთავსებული სავაჭრო მოედანი გადაიტანა მოხერხებულ ბინაზე, სადაც გაშენებულია გადახურული ბაზარი და სასწორი. იქვე გაკეთებულია ოთხი ქვის დუქანი და სხვა.

10. მოაწყო სასაკლაო და ორი წყლის ამოსაღები გენებიკის სისტემისა, რომელიც მაცხოვრებლებს სუფთა წყალს აწვდის.

11. განააახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით ამართა უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე, რომელიც თავის აგებულებით იპყრობს მნახველთა ყურადღებას.

12. მოუპოვა სამკურნალოს და პოლიციას საკუთარი ბინა.

13. მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი.

14. ნავსადგურში მიმავალი ქუჩების მოკირწყვლა და სხვა გზატკეცილების გაყვანა თუ ძნელად ოცნებაში არსებობდა, დღეს სინამდვილედ გახდა.

15. ქალაქის განაპირა ადგილების (ჩოჩხატის აგარაკის) შეძენა ბანკიდან.

16. საქონლის საწყობების გამართვა პორტში და ელევატორში.

17. ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადის დაარსებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ფინანსებისათვის, რომ მისი წყალობით სულდგმულობს ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი.“

ამის გაკეთებას არა მარტო მძიმე, თავ-დადებული შრომა, უძილო ღამეები სჭირდებოდა, არამედ ჯან-ღონისა და ნერვების ხარ-ჯვაც. გაწამებული, დაღლილი-დაქანცული იონა მეუნარგიას შესჩიოდა:

„რა ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, ამისთანა სიცოცხლე აიტანოს, ნეტავი მაინც ოჯახობა არ მყავდეს აქ, არ ხედავდეს ჩემს გასაჭირს და ღელვას. რომ იცოდე, როცა შინ ვბრუნდები, რანაირად შემცქერიან თვალებში ჩემი შვილები და ცოლი. – მწუხარეა თუ მხიარულიო; რამდენად ჩემზე უფრო მეტს განიცდიან ესენი, როცა საქმე ფერხობს თუ კოჭლობს. ხშირად, როცა შინ ვბრუნდები, უნდა მხიარული გამოხედულობა განგებ მივიღო, რომ ესენი არ დავაღონო. რამდენად უფრო ადვილი იყო ჩემი მდგომარეობა აქ, როცა არავინ მოწმედ არ მესწრებოდა ტანჯვასა და გასაჭირსა.“

მაინც არ ისვენებდა. ახალ-ახალ გეგმებს აწყობდა; ახლა, ისიც ვნახოთ, რის გაკეთებასაც მომავალში აპირებდა:

1. არხით შეერთება რიონისა პორტთან.

2. რკინიგზის საქონელზე ფასის დადება ქალაქის სასარგებლოდ.

3. საავადმყოფოს დაარსება.

4. ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა.

5. სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება.

6. სამასწავლებლო სემინარიის.

7. სამეურნეო და საოჯახო სკოლის.

8. გემების გამყვან-შემომყვანი ბუქსირიანი ორთქლმავლის შეძენა.

9. პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭანასთან, სუფსასთან და ხობის წყალთან არხების გაყვანით.

10. რიონის მომზადება შავი და აზოვის ზღვების გემების სადგომად ზამთარში.

11. წყალვარდნილების ხმარება ელექტრონის საშოვრად პორტის და ქალაქის სანათად და მანქანების საძრავად

12. მანქანებისა და მოტორიანი ნავების შეძენა მდინარეებსა და შენაკადებზე სახმარად.

13. გადასატან-გადმოსატანი რკინიგზეგის მოწყობა სილისა და მიწის საზიდავად ქალაქის დასაშრობად.

14. ფოთის გარშემო ადგილების დაშრობა და ნაჭერ-ნაჭრად გაყიდვა ფერმების გასამართავად.

15. კურორტის გამართვა ზღვასა და პალიასტომს შუა

16. სახალხო სახლისა და თეატრის აშენება.“

თითქოს ყველაფერი დინჯად, ჩვეული კალაპოტით მიედინებოდა, არაფერი მოასწავებდა ავსა და უკეთურს...

მაგრამ თურმე ასე არა ყოფილა. ოპოზიციური ძალები ირაზმებოდნენ და მომაკვდინებელი დარტყმისათვის ემზადებოდნენ.

1913 წელს გაზეთმა „იმერეთმა“ მოუწოდა ფოთელებს: „...ნიკო ნიკოლძის მოღვაწეობამ თავისი დრო მოჭამა და დღემდე ფო-

თისათვის თუ ის საჭირო იყო, ამას იქით მავნებელი იქნება.

და კიდევ ვიმეორებ, ფოთელებს ურჩევნიათ ნ. ნიკოლაძეს შესაფერი პენსია დაუნიშნონ, ოღონდ თავიდან მოიშორონ. რის გაკეთებაც შეეძლო, გააკეთა, აწ კი იმ გზით აღარაფერი გაკეთდება, სხვა დროა და სხვა გზაა საჭირო. და პირიქით, ის გზა, რომელსაც ნ. ნიკოლაძე ადგა, ფოთს დაღუპავს“.

ეს არა ყოფილა უმადურის კერძო გამოხდომა. იგი თურმე გარკვეული ნაწილის საერთო განწყობას გამოხატავდა. რა არ დასდეს ბრალად ნიკო ნიკოლაძეს, სერიოზულიცა და აბსურდულიც.

ნახევარკაპიკიანი გადასახადის შემოღებით ფოთი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობას ძარცვავსო. ფოთის ქალაქის ხმოსნებს რატომღაც ჭიათურის ბედი უფრო „აწუხებთ“, ვიდრე ფოთისა. ნახევარკაპიკინი გადასახადი მარგანეცის მრეწველობას არც ეტყობოდა, არც ემჩნეოდა, ფოთს კი საგრძნობ შემოსავალს აძლევდა. ეს რატომღაც დაივიწყეს.

როცა გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ მთელი დასავლეთი საქართველო გადაბუგ-გადაწვა, მაშინ მხოლოდ ფოთი გადარჩა. ახ-ლა გაუხსენეს ნიკო ნიკოლაძეს და ამითაც დაამუნათეს – თუ კარგი კაცი იყავი და მთავრობას არ ემსახურებოდი, ფოთი და-ნგრევ-განადგურებას როგორ გადაურჩაო. არადა, ყველამ იცოდა, რაც მაშინ მოხდა: ნი-კო ნიკოლაძე ფოთისაკენ მიმავალ გამძვინვა-რებულ გენერალს გზაში შეეგება და შეაშინა – ფოთი უცხოეთშია დაზღვეული და, თუ დააქცევთ, მთელი ზარალის ანაზღაურება პირადად ხელმწიფე იმპერატორს მოუწევსო. ალიხანოვ-ავარსკი დაფრთხა: მეფე არ დავა-ზარალო, საწყენი არ შევამთხვიო და ჯარი სხვა მიმართულებით შეაბრუნა. ის, რაც ად-რე დიდად კეთილ საქმედ და გონებამახვი-ლობად ჩაუთვალეს, ახლა ნიკო ნიკოლაძის ავკაცობის დასამტკიცებლად გამოიყენეს.

არავის ყურს არ უგდებდა. მარტო თავი-სი გაჰქონდა. ჩვენ ყურმოჭრილი ყმებივით

ვემორჩილებოდითო. ვინც ამას ამბობდა, ისიც არ ესმოდა, რომ ამით თავის თავს უფრო აპამპულებდა, ვიდრე ნიკოლაძეს აძაგებდა.

ნიკო ნიკოლაძეს აზრი გამოუთქვამს: ახლა მმართველობის საქმე ძალიან გართულდა, აუცილებელია ცოდნა, სპეციალისტების – ინჟინრების, აგრონომებისა და სხვათა – ქალაქის სამმართველოში მოწვევაო. რატომღაც ამაში ხმოსანთა წინააღმდეგ მიმართული განზრახვა დაინახეს. აზრი არ გაიზიარეს, დაგმეს და უარყვეს.

დავა-ჩხუბი თანდათან გამწვავდა, დაიძაბა და დაიჭიმა, ნიკო ნიკოლაძე ქალაქის თავის თანამდებობიდან გადააყენეს და სამართალში მისცეს. ახლა არ იკითხავთ რატომ, რა დასდეს ბრალად?

რა და, ბრალდება წაუყენეს: როცა ფოთის ნავსადგურს აშენებდა, ბუნგე-პალაშკოვსკის ფირმისაგან ქრთამად 350 000 მანეთი აიღოო.

სინამდვილეში, როცა ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს, ნავსადგურის მშენებლობა დიდი ხნის დაწყებული იყო. ვისი პროექტით არ შენდებოდა – შავროვისო, ტიზენჰაუზენისო, ჟარინცოვისო, ფრილოვისო, ზეზემანისო, მაიერისო, – მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მშენებლობას საშველი არ ადგებოდა. ზღვა ფული იყრებოდა, მაგრამ ნავსადგური არა და არა, არ შენდებოდა. როგორც კი ნიკო ნიკოლაძე ქალაქის მერი გახდა, უპირველესად ნავსადგურის მშენებლობას მოჰკიდა ხელი. ახალი პროექტი მაშინდელ რუსეთში ცნობილმა ინჟინერმა ნიკოლოზ ვოზნისენსკიმ შეადგინა. მშენებლობა კი ბუნგე-პალაშკოვსკის ფირმას დაევალა. ის, რაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ვერ გაკეთდა, რამდენიმე წელიწადში აშენდა. ფოთს ახალი, კეთილმოწყობილი ნავსადგური გაუჩნდა. ადრე არავინ შეწუხებულა ნიკო ნიკოლაძისა და ბუნგე-პალაშკოვსკის ფირმის ურთიერთობით. რა-

ტომღაც ახლა, კრიზისულ ვითარებაში გაიხსენეს იგი; მოეჩვენათ: ნიკო ნიკოლაძემ ქრთამი აიღო, თორემ რაღა მაინცდამაინც ბუნგე-პალაშკოვსკის ფირმას მიეცაო ასაშენებლად ნავსადგური და არა რომელიმე სხვა ფირმასო. საქმის ძიება და წარმოება რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა...

იმ პერიოდში ნიკო ნიკოლაძესა და იონა მეუნარგიას შორის დიდი შუღლი იყო ჩამოვარდნილი. ორმოცი წლის მეგობრები და ოცი წლის თანამშრომლები შეურიგებლად იყვნენ წაკიდებული. ეს შუღლი ისეთივე გულსატკენი, სამწუხარო და სავალალოა, როგორც ილიასა და ივანე მაჩაბლის დავა საბანკო საქმეთა გამო. აქაც სულმდაბალი, წვრილმანი, გულბოროტი ადამიანების წასისინებამ გადაჰკიდა ერთმანეთს ნიკო და იონა. მათ დავას იმდროინდელ პრესაში ვრცელი ადგილი უჭირავს. ორივე გრძნობდა, რომ სხვათა ფეხის ხმასა და წაქეზებას არ უნ-

და აჰყოლოდნენ, მაგრამ ადამიანი ადამიანია და ემოციების მართვას ყოველთვის ვერ ახერხებს.

„მოგეხსენებათ, პასუხისგებაში ვარ მიცემული. ამ გასაჭირში მშველელი არსად ჩანს, თორემ დამწიხვლელი, ბევრი მოგეცესთ, უამრავია. ყოველ ჭინჭრაქას, ყოველ ლაწირაკსა და ქვემძრომს შეუძლია მავნოს, თვალდახელშუა სიცრუის თქმითაც. შეშლილი უნდა იყოს ადამიანი, ასეთ მდგომარეობაში ამხანაგს მტრად რომ აქცევდეს," – წერდა ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „იმერეთში" 1913 წლის პირველ თებერვალს.

ნიკო განსაკუთრებით იმით იყო გულნატკენი, რომ იონა მეუნარგიამ მას პრესაში ორპირი, თაღლითი და ბოროტი უწოდა.

უკვე აღარაფრის შეცვლა და გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. მხოლოდ სასამართლოს შეეძლო მტყუან-მართლის დადგენა; ნიკო ნიკოლაძის შებღალული სახელის ძველებური ღირსებით აღდგენა. მართალია, სა-

ზოგადოების უმთავრეს ნაწილს არ სჯერო-
და ბრალდება, წაყენებული ნიკო ნიკოლაძის
მიმართ, მაგრამ არც ისინი იყვნენ მცირე რა-
ოდენობით, ვინც სიამოვნებით ხელს იფ-
შვნეტდა, ავად ხითხითებდა, ამღვრეულ
წყალში თევზს იჭერდა; შუღლის ისედაც
აგიზგიზებულ ცეცხლზე ნავთს ასხამდა.
მთელი გულისყური იქით იყო მიპყრობილი
– როგორ დამთავრდებოდა სასამართლო
პროცესი. სასამართლო ქუთაისში გაიმართა
1916 წლის მაისის ბოლოს. მისი ანგარიში
სრულად გამოაქვეყნა გაზეთმა „ჩვენმა მეგო-
ბარმა“ 70-ე ნომრით დაწყებული 75-ეთი და-
მთავრდა.

როცა ამ მასალას გადაიკითხავ, ნათლად
დაინახავთ, რომ სასამართლო საქმე საგანგე-
ბოდ იყო მოწყობილი, მაგრამ იმის ამოცნობა
კი ძნელია – ვის მიერ, რა ძალა იდგა ამ მზაკ-
ვრობის უკან.

რა თქმა უნდა, ნიკო ნიკოლაძეს ძირი-
თადი ბრალდება არ დაუმტკიცდა, მაგრამ

სასამართლომ იგი მაინც სცნო დამნაშავედ ოთხი ათასის საჩუქრად აღებაში. ამის გამო გამოიტანეს განაჩენი: ან რვა ათასი მანეთი გადაიხადოს ნიკო ნიკოლაძემ, ან ერთი წლის პატიმრობა მოიხადოსო...

ნიკო ნიკოლაძეს ეს სრულებით არ გაჰკვირვებია; კარგად ახსოვდა, რაც რამდენიმე წლით ადრე მოხდა. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში ოცდაათი წლის უმწიკვლო სამსახურის შემდეგ თავმჯდომარე და დირექტორი დავით ბაქრაძე და კირილე ლორთქიფანიძე, ორი 80-80 წლის მოხუცი, სასამართლოში მისცეს. ის კირილე ლორთქიფანიძე, რომელიც ხელფასის მხოლოდ ნახევარს იღებდა, მეორე ნახევარს კი ბანკს უტოვებდა, დამნაშავის სკამზე დასვეს; ორივეს საჯაროდ გაუყიდეს ადგილ-მამული, არა მარტო პირადი, არამედ და-ძმებისაც კი. სიბერემ უშველათ, თორემ ორივეს კატორღაში ამოხდებოდა სულ. ამის მერე საკვირველი რა უნდა ყოფილიყო?

(აჰ, კიდევ ერთი შავი თვალი უმადურობის კრიალოსნისა !)

73 წლის ნიკო ნიკოლაძე რუსეთში წავიდა სამუშაოდ და საცხოვრებლად...

კვლავ იზეიმა „გველის სამართალმა“... რას ვიზამთ, ასე ყოფილაო ოდითგანვე...

„მაბრამ ვინც მამულს სულსაც არ სწინავს...“

უმადურობა-მადლიერების თემაზე სულ-ხან-საბას მიხედვით ავაგეთ მსჯელობა. ბრძენმა საბამ ეტყობა არაერთგზის გამოსცადა თავის თავზე ეს უბედურება; გვახსოვს, სამეფო სასახლის დატოვებაც კი მოუხდა... სხვა ეპიზოდს გავიხსენებთ საბას ცხოვრებიდან, უმადურობისა და მართალი სამართლით განუსჯელობის მაგალითი თავად რომ გახდა კაცი, რომელმაც „გველის სამართლის“ არსი გაარკვია; მიზეზიც „განმარტა“ იმ სამართლისა დამაჯერებლად; გვიჩვენა, რომ დამღუპველია საზოგადოებისათვის ეს სამართალი და გზებს ეძიებს მართალი სამართლის დამკვიდრებისათვის... და ამ კაცს თავად განსჯიან გველის სამართლით...

ამბად ჰყვებიან: ევროპიდან დაბრუნებულ „ქართველთა ელჩს“, დაღლილს, დაქან-

ცულს, იმედგაცრუებულსა და გატანჯულს საქართველოში შემოსვლისთანავე მტრულად შეხვდნენო, უდიერად მოეპყრნენო, „თეთრი წვერით ითრიესო“... პასუხს სთხოვდნენ, სარწმუნოება რად შეიცვალეო... ესეც ერთი მძიმე და საჭირბოროტო კითხვაა ჩვენი ცხოვრებისა.

რა მოხდა? - მართლმადიდებელმა ქრისტიანმა „უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და შეერთო იგი უღმრთოთა“...

იცანით, ცხადია: ეს ამონარიდი „შუშანიკის წამებიდანაა“... ჯერ კიდევ როდის განმარტა იაკობ ხუცესმა, რომ **მართლმადიდებლობის უარყოფა სულით სიკვდილის ტოლფასიაო.** გახსოვთ: შუშანიკი ეკითხება ვარსქენისგან გამოგზავნილ შიკრიკს: „უკუეთუ **სულითა ცხოველ არს** იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა; უკუეთუ **სულითა მომკუდარ ხართ**, მოკითხვაი ეგე შენი შენადვე მოიქეცინ“...

სულით სიცოცხლე მარადიული სიცოცხლეა. სულით სიკვდილი სამარადისო გან-

წირვაა სულისა ჯოჯოხეთისათვის. როგორც ჩანს, ასე უნდა შეფასდეს ეს ქმედება მაშინ, როცა ჭეშმარიტი სარწმუნოების უარყოფა ხდება ანგარებით, პირადი ინტერესით, განდიდების სურვილით; საკუთარი კეთილდღეობისათვის... (ეს ვარსქენ პიტიახშის შემთხვევაა).

ეს მოტივები სულხან-საბასთან გამოირიცხება... მაშინ ასეთი კითხვა ლოგიკური იქნება:

სამშობლოს, ხალხის, ქვეყნის ინტერესებისათვის თუ გადადგამს კაცი ამ ნაბიჯს, მაშინ რა ხდება? მაშინაც კვდება სული?

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მიზანს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი შედეგია...

მოდით, აქ აკაკი წერეთელი მოვიშველიოთ. ვკითხულობთ პოემას „ბაგრატ დიდი“.

თემურ ლენგმა ბაგრატი ტყვედ ჩაიგდო. მეფე საგონებელშია: იცის, ქვეყნის გადარჩენის, მტრის დამარცხების ერთადერთი გზა

ტყვეობიდან თავის დახსნაა. რა გზით, რო-გორ შეიძლება ეს მოხერხდეს?

ლოგიკურ პაექრობას მართავს ბაგრატი საკუთარ თავთან:

„კეთილი, მაგრამ ქართლსა ბედმა

რჯულის გამოცვლა რომ გთხოვოს მსხვერპლად?“

ამ მწვავე, საჭირბოროტო კითხვის პა-სუხი ერთმნიშვნელოვანიაა;

„ეშმაკებისთვის სულის შეწირვის

მირონცხებულსა არა აქვს ნება...“

ანუ: მართლმადიდებლობის უარყოფა ყველა შემთხვევაში ეშმაკისათვის სულის შე-წირვაა... გადადგამს ამ ნაბიჯს ბაგრატი და შემდგომ ასე განმარტავს თავის ქმედებას: „

„და საიქიოც რომ დავივიწყე,

სული ჯოჯოხეთს მით დავამონეო“.

მეფემ საკუთარი სული საკუთარი ნე-ბით ჯოჯოხეთში გაგზავნა!...

აკაკი წერეთელმა ამით ის გვითხრა, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რა არის მიზანი.

ნებისმიერი ამგვარი შედეგის შემთხვევაში სული ჯოჯოხეთისთვის გაიწირება...

სწორედ ამის გაცნობიერების შემდეგ მიიღო ეს გადაწყვეტილება ბაგრატ დიდმა, შეძლო ტყვეობიდან თავის დახსნა და ქვეყნის გადარჩენა! ანუ: საკუთარი სული გაწირა საჯოჯოხეთოდ და გადაარჩინა ქვეყანა!.. ესა იყო ერთადერთი გზა...

(შევნიშნავთ: ჩვენ თეოლოგიურ დავას არ ვაპირებთ - მოვლენებს ამ ტრადიციული პოზიციიდან ვუყურებთ: მართლმადიდებლობა არის ჭეშმარიტი სარწმუნოება; ქრისტე - ჭეშმარიტი ღმერთი... შეიცვალა სარწმუნოება, ე.ი. უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი“...)

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების ზემომოყვანილი მძიმე ეპიზოდის გამო როცა ამ საკითხზე მოგვიხდა დაფიქრება, კიდევ ერთხელ გადავხედეთ საბას ქადაგებათა წიგნს „სწავლნი“...

ვგულისხმობთ: საბამ იცის, რომ მართლმადიდებლობის უარყოფა სულით სიკვდილია;

იცის ისიც, რა ელის სულს სარწუნოების შეცვლის შემთხვევაში - ჯოჯოხეთი ელოდება;

და რა არის ჯოჯოხეთი, ესეც ძალიან კარგად უწყის საბამ... საკმაოდ ვრცელი ქადაგებაა „სწავლა ჯოჯოხეთის სატანჯველსათვის“. რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ:

„ჯოჯოხეთი არს, ჰოი ცოდვილნო, უეჭველად.“ (ანუ ჯოჯოხეთი სინამდვილეაო).

რამდენიმე პასაჟი ჯოჯოხეთის დახასიათებიდან:

„ვაი კაცნო, ჯოჯოხეთი ერთი ბნელი და მყრალი ადგილი არს გულსა შინა ქუეყანისასა ყოვლითურთ ღმრთის რისხვითა და გულის წყრომითა სავსე, (...) სადა საწყალობელნი იგი სულნი მარადის დღე და ღამე მოუთმენლად იტანჯებიან...“

უმძიმესი აღწერაა... ანუ: საბამ ისიც იცის, რომ იქ არავინ ჰკითხავს, რისთვის გაიწირა სული - სამშობლოსათვის თუ ამქვეყნიური პირადი კეთილდღეობისათვის; სულ ერთია, მათი სამყოფელი იქნება

„ერთი ცეცხლიანი ზღვა - სასოწარკვეთილებისა, გულისწყრომისა და ცრემლისა ადგილი, რომელი არა დაშტების უკუნითი უკუნისამდე, არიან ღელენი მძვინარებისანი, რომელი ურიცხვი სატანჯველითა და საგვემელებითა არ აღივსებიან, არს საზარელისა სიკუდილისა სახლი“... და ა. შ...

და იცის საბამ ისიც, რაც აკაკი წერეთელმა ბაგრატ დიდს ათქმევინა:

„ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე
არ მომეშლება, არ არს ადვილი!
მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
იმას არ ჰქვია მამულიშვილი!“

საბასა თუ აკაკის აზრი ესაა: **სამშობლოსათვის სულის გაწირვა უფრო დიდი მსხვერპლია, ვიდრე სიცოცხლისა...**

საბამ სული გაწირა მამულისათვის...

და უმადურობაა ამის დაუნახაობა... დიდი მამულიშვილის მიერ გამოჩენილი გმირობის შეუფასებლობა... და სულხან საბას ტკივილს ტკივილი დაემატა... თუმცა არ იქნებოდა ეს მოულოდნელი საბასთვის; მან არ გვასწავლა?: **„არა ახლია ეს საქმე. ძველთაგან თქმულა: არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“...**

„რატომ კარგი აგიგია“ – „ფილოსოფიური“ გააზრება...

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი „სიბრძნე სიცრუისას“. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რუქა დარწმუნებულია იმ აზრის ჭეშმარიტებაში, რასაც ამტკიცებს („კარგისთვის კარგი არავის უქნიაო“), სადავოდ და სათუოდ არ მიაჩნია ეს აზრი... ხოლო, რასაც ლეონი ამტკიცებს, ეს მისი სურვილი უფრო ჩანს, ვიდრე რწმენა...

ვერ გეტყვით, თუ რომელი ფილოსოფიური მოძღვრება როგორ გაიაზრებს თეზას – „კარგისთვის კარგი არავის უქმნია“, მაგრამ ამბად შემოგვენახა, ქართველი ფილოსოფოსი **შალვა ნუცუბიძე** რას ფიქრობს ამ პრობლემაზე. ასეთ ამბავს ჰყვებიან:

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს სამი ახალგაზრდა დაუპირისპირდა; აკრიტიკებდნენ, ექიშპებოდნენ, მოსვენებას არ აძლევ-

დნენ. ერთხელაც ბატონმა შალვამ დაიბარა სამივე. ერთ-ერთ მათგანს მიმართა:

– ამათი ქცევა (დანარჩენ ორზე მიანიშნაო) გასაგებია ჩემთვის: ისინი მე მოვიყვანე უნივერსიტეტში, მე გავუკვალე გზა; დავტოვე ასპირანტურაში, დავაცვევინე საკანდიდატო დისერტაცია, მერე – სადოქტორო... მაგრამ შენთვის ხომ არაფერი გამიკეთებია და რა გინდა, რას მერჩიო?..

ბატონი შალვა რუქას თეზას ეთანხმება; ესაა მისთვის ჭეშმარიტება...

საინტერესოა, რატომ ფიქრობს ასე, რა მიაჩნია ამის მიზეზად?...

საგულისხმო ამბავს ჰყვება ანა კალანდაძე შალვა ნუცუბიძის შესახებ:

„ერთხელ ქუჩაში გამაჩერა. გამომელაპარაკა, სამწერლო ასპარეზზე ჩემი პირველი გამოსვლა მოიგონა. თქვენ ქარიშხალივით შემოვარდით პოეზიაში, – მითხრა მან, – მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ბევრ მუშაკს არ ესიამოვნა ეს. მათ კარზე რომ ნაგავი ეყარა, ქარმა მოხვეტა, აიტაცა, დაატრიალა და ისევ მათვე მიაყარა თვალებში! რა ქარის ბრა-

ლია? ნაგავი არ უნდა ყოფილიყო მათ კარებ-ზეო, – დასძინა...

განაგრძობდა: – **საქართველოში ყველა-ფერს გაპატიებენ: ქურდობას, აფერისტობას, მრუშობას, ინტრიგანობას, მაგრამ... ნიჭს – არავითარ შემთხვევაში!** მე ეს ჩემს სტუდენ-ტებს ვუთხარი“ (ა. კალანდაძე, ტ. II, 1996, 555).

„მე ეს ჩემს სტუდენტებს ვუთხარი“ – იმას ნიშნავს, რომ ნაფიქრი ჰქონდა ამაზე, ასე სწამდა ფილოსოფოსს...

არ აპატიეს ნიჭიერება მცხეთის ამგებს... არც სხვას...

ეს ამასაც ნიშნავს: უნიჭობა არის გარან-ტია დაუსჯელობისა... უნიჭოებს არ სჯიან...

ასეა ვითომ?.. – ალბათ კი – რადგან ასე ფიქრობს ფილოსოფოსი...

ეს იყო შალვა ნუცუბიძისეული გააზრე-ბა თეზისა – „კარგისთვის კარგი არავის უქ-მნია“... და კიდევ ერთი საინტერესო მოსაზ-რება ამავე თემაზე; ამჯერად აკადემიკოს **ქე-**

თევან ლომთათიძისა; რაღაც უჩვეულო უცნაური ამბის შესახებ ერთ-ერთ ჩვენგანთან მსჯელობისას დასძინა:

„მე მეტიც მინახავს და განმიცდია – ნათესავისაგან, კოლეგისაგან, უფროსისაგან, უმცროსისაგან... ეს დაიხსომეთ: **ხალხი ვერ გაპატიებს უდანაშაულობას... დამნაშავეს მიუტევებენ; უდანაშაულოს კი ვერ იტანენ..**. დაიხსომე: **უდანაშაულობას კაცი კაცს არ პატიობსო...“**

რა გამოდის: **ნიჭიერება** და **უდანაშაულიბა** „გველის სამართლით“ დასჯადი დანაშაულია!..

„დამიჭირეს, მკლავი მომჭრესო“, – თქვა ნიჭიერმა, უდანაშაულო ხელოვანმა...

უმადურობის საფუძველი სხვაც შეიძლება იყოსო... აი, თუნდაც:

ქალბატონ ქეთევან ლომთათიძეს თავისი ერთი ასპირანტისთვის ასეთი რაიმეც უთქვამს: „წუმპეში მყოფს ხელს რომ გაუწვდი და ამოიყვან, მტრად გაიხდი – ის არ მოასვენებს, მისი ავკაცური წარსულის მოწმე რომ ხარო“...

ეს უკვე შიშია, ავკაცობის გამჟღავნების შიში, რომელიც ავიწყებს მადლიერებას და უმადურს ხდის კაცს...

უმადურობას ალბათ სხვა საფუძველიც დაეძებნება...

ასეა, ვითომ?

აი, ეს ამბავიც გავიხსენოთ:

* * *

გადმოცემის მიხედვით, გენიოსმა შოთა რუსთაველმა ცხოვრება უცხოეთში დაასრულა. რა იყო ეს? დიდოსტატი დასაჯეს, „რატომ კარგი აგიგია“-ს პრინციპით, თუ...

ეგ კითხვა ირაკლი აბაშიძემაც დასვა თავის პოეტურ ციკლში „რუსთაველის ნაკვალევზე“. ერთ ლექსში კითხვას უსვამს რუსთაველს, რამ აიძულა, დაეტოვებინა სამშობლო:

„– რამ გამოგხვეწა ამ მწველ ალმურში
რამ აგიყარა მესხეთს კარავი?
მტრობამ? მტრად ვინმე გყავდა
მამულში?

რუსთაველის ხმა:

– არა, არავინ!

.....

– რამ გადმოგაგდო, რამ გადმოგხვეწა?

– რამ? სიყვარულმა.“

ასეთია ირაკლი აბაშიძისეული გააზრება: სიძულვილმა და მტრობამ კი არა, სიყვარულმა აიძულა რუსთაველი, დაეტოვებინა სამშობლო და შორეული პალესტინის უდაბნოში მარტოობაში დაელია სული...

არ სჯერა ეს პოეტ მიხეილ ქვლივიძეს... მისი აზრით, ბოროტს უჭირავს წუთისოფლის სადავე... შური და მტრობა განსაზღვრავს ბედს დიდოსტატისას – „რატომ კარგი აგიგიაო“...

და აი, ირაკლი აბაშიძის ლექსის პასუხად დაიწერა მიხეილ ქვლივიძის შესანიშნავი ლექსი:

„პასუხი

მაშ, შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები
რუსთაველს,
არ გაჰქცევია სამშობლოდან სულთა-
მხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის
ბრალია,

თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული
დალია?!
იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა
მელექსე:
თეიმურაზი, არჩილ მეფე, ვახტანგ
მეექვსე,
საბა-სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ
გაბაშვილს,
მამულს მოსწყვიტა სამუდამოდ
გურამიშვილი
და ბარათაშვილს ამოჰხადა სული
შიმშილით?!
იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა
ტყვია
ან სიყვარულმა ჰკრა მაჩაბელს ხელი
სამიწე,
ან იქნებ იმას სიყვარული სახელად
ჰქვია,
რამაც შეშალა მთის არწივი
მოჩხუბარიძე?!
არა! ქართველთა გზა როდია ასე იოლი:

თვითმკვლელობაა
დიდი საქმის ჩვენში დაწყება...
სარკმელს გააღებს ამღვრეული
გალაკტიონი
და ქვაფენილებს
შურდულივით
დაენარცხება!“

მძიმე მოსასმენია: **„თვითმკვლელობაა დიდი საქმის ჩვენში დაწყება...“** მაგრამ ასე რომ არის?!

კაცობრიობის ისტორია ალბათ ამ უკანასკნელს დაუჭერს მხარს, რადგანაც: „არ ახალია ეს საქმე. ძველთაგან თქმულა: „არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“...

ამას კი მიხეილ ჯავახიშვილი ასე ახსნიდა:

„კაცობრიობა აბელის სისხლის კი არ არის, არამედ ძმის მკვლელის კაენისა“. (ჩანაწერები, 2004, 291).

„კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეა...“

კიდევ ერთი პრობლემა... მოდით, ასე დავიწყოთ:

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება... ვარაუდები მრავლადაა.

ერთ უცნაურ ფაქტზე მიანიშნებენ: თამარისდროინდელ მატიანეებში შოთა რუსთაველი არსად იხსენიება... არადა ამბობენ: დიდგვაროვანი იყოო (საგვარეულოებსაც ასახელებენ), სამეფო კარზე დიდი თანამდებობა ეჭირაო, პოემა თამარს მიუძღვნაო... მატიანეებში კი არ იხსენიება შოთა რუსთაველი...

ერთი ასეთი ვერსიაც არსებობს: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი „დისიდენტი“ იყოო; „ოპოზიციონერი“ იყოო... პოლიტიკური მო-

წინააღდეგე სამეფო კარისაო... დავუშვათ და, ეს ვერსია სიმართლეა. რა გამოდის?

ავტორი პოლიტიკურად მიუღებელია, მას არ ცნობენ ღირსად მატიანეებში შეტანისა, მაგრამ მისი ქმნილება – ღირსეულად დაფასებული იყო და არის! (ეს იგივეა: დიდოსტატს „მკლავი მოჭრეს“, მაგრამ სვეტიცხოველზე აუგი არავის დასცდენია)...

ამ გააზრებით რუსთაველის დისიდენტობის ვერსია მოგვწონს: საგულისხმო გაკვეთილია!.. „რატომ კარგი აგიგიას“ პრინციპიდან გამომდინარე, საბაბი ჰქონდათ, დაესაჯათ პოემის ავტორი... არ ვიცით, მოკვეთეს თუ არა მკლავი, ავტორი გაქრა ანალებიდან... ფაქტია, მიუღებელი ავტორის გამო ნაწარმოები არ გაუწირავთ: პოემა ეროვნულ განძად იქცა...

ადრეც ვთქვით: უმადურობა და დაუნახაობა კარგის ამგების მიმართ (ამ ლექსისეული განაჩენი) ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში თანაბრად დამახასია-

თებელი მანკია. დიახ, ეგ პრობლემა, ეტყობა, მეტ-ნაკლებად ყველა ეპოქაში იდგა; მიუხედავად ამისა, „ჭეშმარიტი ფასეულობანი ყოველგვარ დროში და ყოველგვარი ტოტალიტარიზმის პირობებში, ცხადად თუ მალულად, მაინც იქმნებოდა“ (თამაზ ბიბილური); მაგრამ პრობლემამ განსაკუთრებით მწვავედ მე-20 საუკუნეში იჩინა თავი. ეს ის დროა, კაპიტალისტური რკინიგზის აყრას რომ ითხოვდნენ, სოციალისტური მატარებელი მასზე ვერ გაივლისო... ეს ის დროა, ეკლესიებს რომ ანგრევდნენ (ბნელი აზროვნების დროინდელი ნაგებობებიაო...)... ესეც გემახსოვრებათ: გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ რომ გადაერჩინათ, აფიშებზე ავტორად ვაჟა-ფშაველა მიაწერეს; მიხა ხელაშვილის ლექსები ხალხურად გამოაცხადეს... მაგრამ ყველა და ყველაფერი ვერ გადაარჩინეს და ბოლშევიკურმა რეჟიმმა „არაბოლშევიკური აზროვნების“ ავტორები და მათი შემოქმედება აკრძალა... და ჩვენი თაობა მალულად ეცნობოდა

მიხეილ ჯავახიშვილსა თუ ტიციან ტაბიძეს...

საბედნიეროდ, საქმე გამოსწორდა, მაგრამ ეს შეგნება (მენტალიტატს რომ ეტყვიან) ქვეცნობიერში მაინც დარჩა და დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, ვერ დაგვიძლევია... კონკრეტული მაგალითი:

გაზეთ „კომუნისტის“ 1922 წლის ერთ-ერთ ნომერში ასეთ განცხადებას წავაწყდით:

„მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება. ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან.

რევკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს, გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რევკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციული მოქმედებისათვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“ (ბრძანებულება გამოქვეყნდა მარტის ბოლოს „კომუნისტის“ მე-11 ნომერში)...

თანამედროვე ქალაქის იერ-სახის შემხედვარეთ შეგვშურდა „ბოლშევიკების“ ასეთი დამოკიდებულება ქართული ენისამი და ერთ-ერთმა ჩვენგანმა წერილი გამოაქვეყნა ამგვარი სათაურით: „დედაენაზე ზრუნვა ბოლშევიკებისაგან უნდა ვისწავლოთო“... დაგვძრახეს, დაგვამუნათეს: ბოლშევიკებს მისტირითო...

სხვაც იყო: თანამედროვე სკოლის პრობლემებზე საუბრისას საბჭოთა პერიოდის სკოლა მოვიყვანეთ მაგალითად; ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება უკეთესად იყო იმჟამადო და აქაც შემოგვძახეს, არ ხარ ღირსი დამოუკიდებლობისაო - კომუნისტების დროს მისტირითო...

წყალმა წაიღოს ბოლშევიკებიცა და კომუნისტებიც, მაგრამ იმ წყალს გავაყოლთ ისიც, რაც კარგი იყო? რაც ფასეულიი შექმნეს? კარგისმქმნელი დავივიწყოთ, აქაოდა ჯიბეში კომუნისტის მანდატი ედოო?

აქაოდა: „იქ“ მსახურობდაო, სურათი აქვს „იმასთან“ ერთად გადაღებულიო; „ის“ აქებს თავის წერილშიო, თავის გამოსვლაშიო... იმ კლასტერის, იმ პარტიის, იმ ჯგუფის წევრი იყოო და მისი გაკეთებული კარგიც ცუდიაო... სხვისი ცუდი ჯობია მის კარგსო...

და ამ შეგნებას, ამგვარ აზროვნებას არაერთი ღირსელი კაცის სახელი ეწირება...

ასე გვწამს: ბოლშევიკობა თუ კომუნისტობა კი არა, ქართული საქმეების კეთება დავუფასოთ... შეიძლება ძეგლი არ ავუგოთ, მაგრამ მკლავს მაინც ნუ მოვჭრით...

მოდით, ესეც ვთქვათ: ადამიანი დედამიწაზე მოვლინების ხანას თვითონ არ ირჩევს. თუ კაცი დავით აღმაშენებლის ან თამარის დროს დაიბადა, ეს მისი დამსახურება არ არის. აქედან გამომდინარე, არც რა დანაშაული იმას ჩაუდენია თავისი დაბადებით, ვინც მონღოლთა ბატონობისას ანდა საბჭოთა ეპოქაში მოევლინა ქვეყანას... ადამიანი

რა ეპოქაში იბადება და ცხოვრობს, ეს სხვა-
გან წყდება... მთავარია, ეროვნული სულის-
კვეთებით გაზრდილი კაცი საკუთარ სინ-
დისთან კომპრომისზე არ წავიდეს; არაეროვ-
ნული ხელისუფლების პირობებშიც შეძლოს
მამულიშვილური საქმეების კეთება... რომ
არა ასეთი ადამიანები, მოკვდებოდა ქართუ-
ლი საქმე, ქართული სული...

ეგ კი, მაგრამ ვახერხებთ ამგვარ ადამი-
ანთა ღვაწლის დანახვას? წარმოჩენა? დაფა-
სებას? მათთვის მადლობის თქმას?.. ზოგჯერ
იმ „პატრიოტთა“ შიში გვიპყრობს, რომ „შე-
გვახსენებენ“: მავანს ჯიბეში წითელი მანდა-
ტი ედოო, კომპარტიაში დიდი თანამდებობა
ეჭირაო... და ღირსეულ კაცს ვივიწყებთ, რჩე-
ბა კეთილი საქმე და ვკარგავთ ამ საქმის
შემოქმედის სახელს ამგვარი „პოლიტიკანუ-
რი“ მიზეზით... არ ვითვალისწინებთ იმას,
რომ ის „წითელი მანდატი“ და „დიდი პარ-
ტიული თანამდებობა“ ზოგჯერ საშუალება
იყო ქართული საქმეების კეთებისა... მისას-
ვლელი გზა იყო ეროვნულ სამოღვაწეო ასპა-

რეზამდე (გავხაზავთ, ცხადია, არა ყოველ-თვის!)...

დარწმუნებული ვართ, ახლა (ამწუთას) არაერთი ასეთი კაცის სახელი ამოტივტივდა ჩვენი მკითხველის გონებაში (იმათი, თავა-დაც რომ ერიდებიან თავიანთი გაკეთებული საქმეების ხსენებას „იმგვარ პატრიოტთა“ რი-დით)...

თურმე, 2003 წელს საპარლამენტო არ-ჩევნებზე სიღნაღში რამდენიმე კანდიდატი იყრიდა კენჭს. ერთ-ერთ მათგანს რაიონში ყველა ზრდასრული კაცი იცნობდა; პატივს სცემდნენ პიროვნულად; აფასებდნენ მის წარსულ საქმიანობას... ასე რომ, მართალი სამართლის ლოგიკით არჩევნებში მას უნდა გაემარჯვა... არ მოხდა ასე... ამ ფაქტზე ფიქრ-მა 1912 წელს საჩხერეში ჩატარებული არჩევ-ნები გაგვახსენა.

* * *

1912 წელს რუსეთის სათათბიროს არ-ჩევნები გაიმართა. არჩევნები ორ ეტაპად

ტარდებოდა: ჯერ ირჩევდნენ რწმუნებულებს, რომელთაც შემდგომ უნდა აერჩიათ დეპუტატი. საჩხერეში პირველ ეტაპზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აკაკი წერეთელმა გამოთქვა (დეპუტატად კენჭს კიტა აბაშიძე იყრიდა.)

გავითვალისწინოთ: 1912 წელია. აკაკის მთელი საქართველო ხელის გულზე ატარებს: არჩევნები სექტემბერში გაიმართა; ივლისში კი აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა... და ვიცით, როგორი სახალხო ზეიმი იყო ეს... ესეც გვემახსოვრება: ილა ჭავჭავაძე როგორ აფასებს თანამებრძოლის ღვაწლს: „სხვები სხვები არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარო“, მისწერა... იაკობ გოგებაშვილი ასეთ შეფასებას აძლევდა მგოსანს: „აკაკი პატარა საქართველოა! აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა“... ამ თემაზე სხვაც ბევრი შეიძლებოდა გაგვეხსენებინა... თუნდაც:

აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე იგონებდა, იმ დროს (1912 წელს) საჩხერეში ყველა

ოჯახში აკაკის სურათი ეკიდაო და... ამ საჩხერეში წარმომადგენლობით არჩევნებში აკაკი წერეთელი „გააშავეს“! გაიმარჯვა ვინმე ხუსკივაძემ...

მეტიც: წინასაარჩევნოდ სილოვან ხუნდაძე აქვეყნებს წერილს აკაკი წერეთელზე, ლანძღვა-გინებითა და შეურაცხყოფით აღსავსეს... ს. ხუნდაძისათვის მხარი არჩილ ჯორჯაძეს დაუჭერია... სწორედ არჩილ ჯორჯაძეს მიმართავს გაწბილებული და გულდაწყვეტილი აკაკი: „თქვენს გულწრფელობასა და სიმართლის მოყვარეობაზე დარწმუნებული ვიყავი; ამ უკანასკნელმა თქვენმა წერილმა, რომლითაც თქვენ ეთამხმებით ბ. სილოვან ხუნდაძეს, რომ მე „შინაური მტერი ვარ“, „ქვეყნის ორგული“, „მოღალატე“, „მასხარა“ და სხვანი, სხვანაირად ჩამაგულისხმა. - მე ახლაც კიდევ ვფიქრობ, რომ თქვენ მოტყუებული ხართ და ის დაუჯერეთ შინაურ მოყვრებს, რაც არ ყოფილა და სიმართლეს მოკლებულია“...

აქ აკაკი წერეთელი აკეთებს საინტერესო დასკვნას: **„კენჭობია“** (ანუ არჩევნები) **რო-გორ მიემატა ქართველთა იმ მანკიერ თვისე-ბებს,** კარგისთვის ავის გაკეთებას რომ აიძუ-ლებს ქართველს: „ეს სენი (...) **კენჭობია ჰრყვნის საზოგადოების სულსა და გულს და სთესავს საშვილიშვილო მტრობას“...** და მწა-რე რეალობა: „შეგნებული კენჭისყრა ქვეყ-ნისთვის დიახ სასარგებლოა და ამ შეგნების მაგალითს უნდა **ინტელიგენცია** აძლევდეს ქვეყანას!.. მაგრამ ვაი რომ ვერა!.. ისიც სცდე-ბა და **უმეცრებას ასუქებს უნებურად“...** შე-დეგი კი ესაა: აღარ ახსოვთ კარგის მკეთებე-ლი და ვინც ახსოვთ, ვაი ამ ხსოვნას: „რატომ კარგი აგიგიაო“...

ამ ამბავმა ერთი დიდებული შეგონებაც დაატოვებინა აკაკის: **„კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეა:** ყველამ თავის ნებაზე უნდა იმოქმედოს“...

და ჩვენში ხშირად მეკენჭეს ღალატობს ან ჭკუა, ან სინდისი, ანდა ორივე ერთად და

ამას ეწირება მართალი სამართალი... ჭკუისა და სინდისის ღალატის შედეგია გველის სამართლის ასე ფართო მასშტაბით გავრცელება...

* * *

აკაკი სადღეისო პრობლემებმა გაგვახსენა; კერძოდ 2003 წელს სიღნაღში ჩატარებულმა არჩევნებმა... კარგად გაგვიგეთ: ჩვენ კი არ ვმკრეხელობთ და ვინმეს შედარებას კი არ ვახდენთ აკაკისთან! არა, ჩვენ სხვა დარდი გვაქვს: საზოგადო ჭირზე ვწერთ, ჩვენი საზოგადოების ავ ზნეზე – „რატომ კარგი აგიგიაო?“...

იმ (2003 წლის) საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ბატონმა თამაზ ქევხიშვილმაც გამოთქვა; მაგრამ გამოცდილმა კაცმა მოვლენების განვითარებას რომ თვალი მიადევნა, განცხადებით მიმართა საარჩევნო კომისიას, მოხსენითო ჩემი კანდიდატურა; არაო, უთხრეს საარჩევნო კომისია-

ში; ამ არჩევნებში თქვენზე ღირსეული არავინ იყრისო კენჭს და... ისინი გულწრფელები იყვნენ, მაგრამ ის ვერ გაითვალისწინეს, რომ ასეთ არჩევნებში უმეტესად წერეთლები და ქევხიშვილები ვერ იმარჯვებენ... ამ დროს მართალ სამართალს ძინავს; გველის სამართალი ფხიზლობს...

* * *

ვინ არის თამაზ ქევხიშვილი? – მოგახსენებთ: ერთი რიგითი ქართველი კაცი (სამწუხაროდ, და არა ერთი მრავალთაგანი...); ქართული სულითა, ქართული გულითა, ქართული საქმის კეთების დიდი სურვილითა და ინტერესით... გვსმენოდა მისი საქმიანობის, მოღვაწეობის შესახებ და... როცა „კარგისთვის კარგის კეთების“ თემაზე დავფიქრდით, თამაზ ქევხიშვილი ამ „პრინციპის“ ერთერთ თანამედრვე „მსხვერპლად“ გავიაზრეთ... და იმ გრძელ რიგში ჩავაყენეთ, ნაწილი ამ წიგნშიც რომ წარმოვადგინეთ... 2003 წლის „კენჭობიას“ გახსენებაც არ სურს

ბ-ნ თამაზს... სხვა ამბებისა მისი საქმიანობს პერიოდიდან? სიამაყითა და სიამოვნებით იხსენებს ქიზიყურ შვიდ წელს (ჩვენც ამჯერად ეს პერიოდი გვაინტერესებს მისი მოღვაწეობისა მიზეზთა გამო)...

როცა მისი ცხოვრების ამ მონაკვეთს (სიღნაღურ პერიოდს) გავეცანით, ვთქვით, თამაზ ქევხიშვილი „საწიგნე“ კაცია-თქო. ეს აზრი მას შემდეგ უფრო განგვიმტკიცდა, პირადად რომ გავეცანით... ჩვენ მხოლოდ „ერთ თავს“ წარმოვადგენთ იმ „წიგნიდან“, რომლის დაწერასაც ვინატრებდით... ვცადოთ: მოკლედ, ლაკონურად არსებითს გავიხსენებთ... მერე ერთად შევაფასოთ, დანასკვი ერთად გამოვიტანოთ, გულმოწყალე მკითხველო...

* * *

მანავში (საგარეჯო) დაიბადა და გაიზარდა... ფართო ინტერესებით, ეროვნული სულისკვეთებით იზრდებოდა...

მაგრამ ეროვნულ ასპარეზზე მისასვლელი გზები იყო მოსაძებნი; „საგზლის“ მოპოვება იყო საჭირო, ეს გზა მშიდობიანად რომ გაევლო: განსწავლის სწორი გეზი იყო ასარჩევი საქვეყნო ასპარეზზე წარმატებით გამოსვლისათვის...

აგრონომ-ეკონომისტის დიპლომი, შემდეგ სამართალმცოდნისა და მერე უმაღლესი პარტიული სკოლა მოსკოვში... ეტყობა, იმ დროისათვის ამ გზის გავლის გარეშე ძნელი იყო მიღწევა იმ ასპარეზამდე, ჩაფიქრებული საქვეყნო საქმეების საკეთებლად რომ სჭიდებოდა...

წარმატებით გაიარა ეს გზა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ პარტიული თანამდებობის შემდეგ:

1983 წელს თამაზ ქევხიშვილი, 40 წლის ახალგაზრდა კაცი, ულევი ენერგიითა და საინტერესო იდეებით აღსავსე, დაინიშნა სიღნაღის რაიონის თავკაცად.

იმჟამად რაიონი ურთულეს მდგომარეობაში იყო: კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით ჩატარდა მკაცრი სამართლებრივი ღონისძიებები: დაიკითხა 2000-მდე კაცი, ათეულობით მათგანი დაითხოვეს სამსახურებიდან; ზოგს პატიმრობა მიუსაჯეს, ორს დახვრეტის მუხლი მიუყენეს... რაიონში შიში დაძრწოდა... და ამ ვითარებაში ახალგაზრდა კაცს ჩააბარეს სიღნაღი... ეს არ იყო ექსპერიმენტი, ეს იყო დიდი ნდობა და პასუხისმგებლობაც...

და დაიწყო ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი თამაზ ქევხიშვილის ცხოვრებაში... გადავავლოთ თვალი ამ ამბების ქრონიკას... ასე ვთქვათ:

მოდი, ვნახოთ, **„რა მოხდა სიღნაღში“** თ. ქევხიშვილის თავკაცობის დროს - **1983 – 1990 წლებში.**

* * *

იმ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში თავკაცი

იწყებს გუნდის შეკვრას... ნდობის მოპოვება იყო საჭირო, ავტორიტეტის შქმნა, მართალი გულის გადაშლა... და რაც მთავარია:

იტყვის: საჭირო იყო გაბედული მოქმედება, პრინციპულობა; სიღნაღის საზოგადოება მზად იყო აღმშენებლობისათვის – შენ ოღონდ დაგვავალეო...

იტყვის ბ-ნი თამაზი: ძალიან საინტერესო კაცს, ლერი ბეგიაშვილს, დავავალე „ყოფილების“ (სკოლის დირექტორების, თავმჯდომარეების, სხვადასხვა ორგანიზაციადაწესებულებათა ხელმძღვანელების – უკვე პენსიონერების) სია შეედგინა – „უხუცესთა საბჭო “ დავარქვი: ვისმენდი მათ აზრს, ვის რა სურდა რომ გაკეთებულიყო, რა მიაჩნდათ საჭიროდ... გააქტიურდა სიღნაღი...

უპირველესად გზები, გზები – უმძიმესი ვითარება იყო ამ მხრივ...

უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი: დაიგეგმა და აშენდა ორი სოფელი, მესამის მშენებლობის მხოლოდ დაწყება მოესწრო...

(გასახსენებლად საინტერესო ამბავი: კახეთის მეფე ალექსანდრე სიამაყით აღნიშნავს თავის ერ-ერთ დიდ დამსახურებას: ორი სოფელი აღვადგინე – მაღარო და ყვარელიო...)... (და კიდევ: ახალი ქართული სოფების დაარსებას რა მნიშვნელობაც ჰქონდა ეროვნული თვალსაზრისით, ზემოთ ვაჟაფშაველას შესახებ საუბრისსაც აღვნიშნეთ...)

და სიღნაღღის რაიონში ახალი სოფლების აშენება გადაწყდა...

„სოფლის შენებას რა უნდაო?“

– თამაზ ქეხიშვილისნაირი თავკაცი!- იტყვიან ქიზიყელები...

– ქიზიყელთანაირი ერთგული, მართალი და შრომისმოყვარე ხალხიო! - იტყვის თამაზ ქევხიშვილი და შედეგიც არ დააყოვნებს... საინტერესო ამბავია:

მოგეხსენებთ, ალაზანი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და მეზობელ სახელმწიფოს შორის. მარჯვენა სანაპირო ქართულია. ალაზანმა იცვალა კალაპოტი და

ასეულობით ჰექტარი ქართული მიწა მოექცა მარცხენა სანაპიროზე... შეიქმნა საფრთხე ამ მიწების დაკარგვისა... ამან გააჩინა იდეა, იქ ქართული სოფელი გაშენებულიყო:

ჯერ 120 მეტრიანი ხიდი დავაპროექ-ტეთ, – ჰყვება თ. ქევხიშვილი, – და დავი-წყეთ მშენებლობა. – ამ ხიდს ჩვენ გამოვიყე-ნებთო, იფიქრეს გაღმა მხარეზე, მაგრამ შე-შფოთდნენ, სოფლის შენება რომ დავიწყე-თო... პირველი სოფელი დაპროექტდა 500 კომლზე; დავიწყეთ 20-ით; მერე უცებ აშენ-და 40 შენობა... სოფელს რა უნდა დარქმეო-და, კონკურსი გამოვაცხადეთ რაიონულ გა-ზეთში; **ერისიმედი** შევარჩიეთ... ზაქათალას რაიონს ემიჯნება, საინგილოს გაჰყურებს... ერის იმედად უნდა იდგეს...

პირველ ჯერზე აშენდა 360 სახლი (ჯონი ელაშვილი, სოფლის პირველი თავკაცი გვაწ-ვდის ინფორმაციას)... 1985-1987 წლებში აშენდა ერისიმედი; დაიწყო სოფელმა ცხოვ-რება... სოფელი ქართულია: ადგილობრივ-

თა განაყარი ოჯახები და აჭარელი ეკომიგ-
რანტები...

მომზადდა პროექტი და 1986 წელს დაი-
წყო მეორე სოფელის მშენებლობა – ხორნა-
ბუჯისა... ყარაჯალას ციხის ნანგრევები სა-
დაც იყო... ცარიელ ადგილზე; ისტორიული
სახელი ავიღეთო... ისიც 500 კომლზე დაი-
გეგმა, მაგრამ მხოლოდ ნახევრის აშენება მო-
ვასწარითო 1990 წლამდეო...

მესამე სოფელიც დაპროექტდა - ილიაწ-
მინდა; დავიწყეთ მშენებლობა, მაგრამ შეიც-
ვალა დროება და შეჩერდა „სოფლის შენე-
ბა“... კი დავიწყეთ, მაგრამ ვეღარ გაგრძელ-
და... რაც გაკთდა, ისიც განიავდა... მხოლოდ
სახელი გადარჩა და ისიც სხვა სოფელს და-
ერქვა (ულიანოვკას)...

იდეაში სხვა სოფლების აშენებაც გვქონ-
და დაგეგმილი, მაგრამ...

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა
ილია მეორემ აკურთხა ახალი სოფლები...

ვეკითხებით, ხელისშემშლელი პირობები რა იყო-თქვა... – იღიმება ბ-ნი თამაზი:

– ერთ თათბირზე ედუარდ შევარდნაძე სიღნაღსაც შეეხო; ახალგაზრდა კაცი გავაგზავნეთ; თქვენ უჩივით (მინისტრებს მიმართა), არ გვემორჩილებაო; ეგ კაცი მეც არ მემორჩილება... ვაცადოთ, ვნახოთ რას გააკეთებს... აკეთოს საქმე და თუ მოსახსნელი იქნება, მერე მოვხსნათო, – უთქვამს შევარდნაძეს... ბ-ნი თამაზი ისევ იღიმება: მეორე დღიდან ერთმანეთს ასწრებდნენ მინისტრები, რით დაგეხმაროთო...

„უხუცესთა საბჭოზე“ წყდება ეკლესიების და ციხე-გალავნის აღდგენა რესტავრაციის საკითხი...

სიყმაწვილისდროინდელ ფიქრს გვიმხელს თავკაცი: ჯერ კიდევ სტუდენტობისას წმინდა ნინოს მონასტერი რომ ვნახე, გული ჩამწყდა – საღორეები და საძროხეები იყო მიშენებული გალავანზე, ქოხმახები მრავლად...

ახლა მომეცა შესაძლებლობა მაშინდელი ოცნების ახდენისაო და ქოხმახებიდან ხალხი სიღნაღის ახალ უბანში ჩაასახლა; გალავანი განაახლა, შენობას რესტავრაცია ჩაუტარდა, ეზო კეთილმოეწო და წმინდა ნინოს სახელობის ბოდბის მონასტერმა დიდებული სახე მიიღო...

მერე ხირსის მონასტერი აღვადგინეთ... აქტივისტებს დავალება მივეცი, შედარებით მცირე ეკლესიების აღდგენა-რესტავრაცია მოგვეხდინა ყველა სოფელში...

საგანგებოდ ჩაბრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ქიზიყში მადლობა გადაუხადა, დალოცა და გულში ჩაიკრა ამ საქმეების შემოქმედი.

ერთი მოღვაწის სასახელოდ მარტო სიღნაღის ციხე-გალავნის აღდგენა იქნებოდა საკმარისი:

მოგეხსენებათ, სიღნაღის გალავანი უნიკალური ძეგლია ქართული კულტურისა. ამბობენ, მსოფლიოში ჩინური კედლის შემდეგ

სიგძით მეორეაო (ევროპაში პირველი!). მძიმე დღეში იყო... მეთვრამეტე საუკუნის გალავანი სასწრაფო და სერიოზულ სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებდა... ითავა ეს საქმე თამაზ ქევხიშვილმა:

შევკრიბე თავკაცები: როდემდე ვუყროთ ამ ციხეს ამგვარ მდგომარეობაში-მეთქი; ერეკლეს აგებული ციხე-გალავანი ჩვენ თვალწინ ინგრევა; დავიწყოთ და თუ ჩვენ ვერ დავამთავრეთ, სხვა დაამთავრებს-მეთქი... დავყავით მონაკვეთებად, გავაპიროვეთ კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, ორგანიზაციებზე თითოეული უბანი... აღვადგინეთ 5 კილომეტრიანი გალავანი; 23-ვე კოშკი; რიყის ქვა მეზობელი რაიონებიდან მოგქონდაო... 3 წელი მოვუნდით ციხე-გალავნის რესტავრაციასო...

დემოგრაფიაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა... ფონდები შევქმენითო... მაგიდაზე სტატისტიკური მონაცემები მედო – რომელ სოფელში რამდენი კაცი გარდაიცვალა; რამდენი

ბავშვი დაიბადაო... ახალგაზრდა ოჯახებისათვის დახმარება წესად ვაქციეთო... განსაკუთრებით ერთ ინიციატივას გაუსვა ხაზი: დავაწესეთ ერთჯერადი დახმარებებიო: მესამე შვილზე სამი ათასი, მეოთხე შვილზე ოთხი ათასი, მეხუთე შვილზე ხუთი ათასი მანეთიო...

– ბიუჯეტიდან? – დავინტერესდით ჩვენ.

– არა, რას ამბობთო...

აღარაა საჭირო განმარტება; ჩვენ, საბჭოთა ეპოქიდან ვინც მოვდივართ, ყველამ ყველაფერი ვიცოდით, ვინ მდიდარი იყო და ვინ – ღარიბი... ვინ რითი არსებობდა და... (ამგვარ საქმეებს თან ლეგენდებიც ახლავს, რამდენად სანდოა ისინი, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ კი, როგორც იტყვიან, პირველწყაროდან გვაქვს მოსმენილი)... თამაზ ხმალაძემ გაიხსენა: მეგობარი მიყვებოდა, ქევხიშვილმა შემომითვალა , წახვალ აქა და აქ, რასაც გამოგატანენ, მოიტანო. სიღნაღის რაიონის შესასვლელში რომ ლომები დგას, ის ფიგურები გამოუტანებიათ (ცხადია, ფასი გა-

დაახდევინეს)... ნეტა ბევრი ასეთი დავალება მოეცა, მქონდა და გაქრა ის ფულიო... იმასაც ჰყვებოდნენ ამბად, ამგვარ „ბიზნესმენებს“ დავალება ეძლეოდათ, გაჭირვებული ოჯახები უზრუნველეყოთ საჭიროებისამებრ სისტემატურად...

– „ბიზნესმენთა“ ცოლები ჩიოდნენ, ჩვენი ქმრები ფულს შოულობენ და ქევხიშვილი ახარჯვინებსო... შევხვდი კიდეც ერთხელ მომჩივან ქალბატონებს... – ხალისით იხსენებს ამ ეპიზოდს ბ-ნი თამაზი...

ისე, მოდით ესეც ვთქვათ: როცა ხედავ, რომ შენს ირგვლივ „მართალი სამართალი“ არ სამართლობს, იძულებული ხდები, მისი მინამგვანი რაღაც შექმნა და „დროებით სამართლად“ დაამკვიდრო... კეთილ საქმეს თუ ცოტათი მაინც წაეშველები... ამბობენ, სულ უკანონობას ცუდი კანონით ცხოვრება სჯობსო (რაღაცა ხნით მაინც)...

რაც მოგახსენეთ, ეს არაა სრული ნუსხა სასიკეთო საქმეებისა; ჩამონათვალი გრძელია: რაც ითქვა და სხვაც:

მეწყერული ზონის დამცავი ნაგებობა ქალაქში;

ახალი უბანი სიღნაღში (ორმილას დასახლება);

სპორტული კომპლექსი და სხვა...

გაზრდილი შრომის ნაყოფიერების ხარჯზე გაზრდილი შემოსავლები (ეკონომიკურ ტერმინებში ვიბნევით)... გამოვაცხადეთ; გეგმაზე გადაჭარბებით რაც იქნება, 70% შინ წაიღეთ-თქო... ხალისით ჰყვება (პირს ასახელებს: შემევედრა, შესანახი ადგილი აღარ მაქვს, იქნებ წისქვილკომბინატმა ჩაიბაროსო...)...

შვიდი წელი გაგრძელდა თამაზ ქევხიშვილის თავკაცობით აღმშენებლობა სიღნაღში... არ დასცალდა მეტი..

შეიცვალა სისტემა...

შეიცვალა ინტერესები... შეიცვალა კადრები... ზემოთაც გავიხსენეთ: მსგავსი ლო-

ზუნგებიც გაისმა, საბჭოთა მატარებელი ვერ გაივლის კაპიტალისტურ რკინიგზაზეო... ძველმა კადრებმა დატოვეს ასპარეზი და ხშირ შემთხვევაში გამოუცდელმა ახალგაზრდებმა ჩაიბარეს თანამდებობები... და გაჩერდა დაწყებული საქმეები...

1990 წლიდან თამაზ ქევხიშვილი ტოვებს ქიზიყს; ისევ სახელმწიფო სამსახურშია, ოღონდ სხვაგან და შორიდან უყურებს მის ნაამაგარ სიღნაღს... განსაკუთრებით მისი გაშენებული სოფლების ბედი ადარდებს:

ვთქვით: ერისიმედში გეგმის მიხედვით მშენებლობა ვეღარ გაგრძელდა, ჩასახლება შეწყდა...

ასე მოხდა ხორნაბუჯშიც; აქ უფრო ადრე საფეხუზე შეჩერდა საქმე...

ილიაწმინდაში მხოლოდ დაიწყო და გაჩერდა...

– ის კი არა, გული მომიკვდა, რომ მითხრეს, აქ ქართველები სხვებზე ყიდიანო სახლებს... – დარდიანად ამბობს ბ-ნი თამაზი

და ცოტა რომ დამშვიდდა ცხოვრება, თამაზ ქევხიშვილს გულმა სიღნაღისაკენ გაუწია: დაწყებული და შეჩრებული საქმეები ეძახდნენ... იფიქრა, დეპუტატობა ის გზაა, ჩემს დაწყებულ საქმეებთან რომ მიმიყვანსო...

და გადაწყვიტა, კენჭი ეყარა... დანარჩენი იცით...

აკაკის ნათქვამს შეგახსენებთ მაინც: ჩვენში სხვა მრავალ ავ სენს მეკენჭეობაც მიემატაო და... ესეც ვიცით: ასეთ არჩევნებში უმეტესად ხუსკივაძეები იმარჯვებენ, წერეთლები და ქევხიშვილები – ვერა...

მაგრამ რომ უთხრეს საარჩევნო კომისიაში, შენზე ღირსეული კანდიდატი არავინაარ?

მერე რა! – გაცილებით ადრე თქვა სულხან საბამ: **„ძველთაგან თქმულა: არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია, და მის მაგიერ ავი მიუგია“...**

* * *

როცა სიღნაღის იმ „კენჭობიას“ ამბებს ვიხსენებდით, თამაზ ხმალაძე აშკარა უხ-

რხულობას გრძნობდა ამ უმადურობის გამო, როგორც იქაური კაცი...

და გიორგი გოგოლაშვილმა პარალელი-სათვის მოისურვა თავისი მშობლიური ტყი-ბულის ამბების გახსენება... დაინტერესდა, საბასეული რომელი შეგონება მოქმედებს ოკრიბაში: რუქასი თუ ლეონისა.

გიორგის მეხსიერებაში ტყიბულელ პარ-ტიულ თავკაცთაგან პირველი კარლო ლო-მაძე ამოტივტივდა; გურული კაცი, რომე-ლიც რაიკომის მდივნად მოავლინეს ოკრიბა-ში. იცოდა, რომ ბევრი კარგი საქმე გააკეთა... მერე? აქაც ვცადეთ დაზუსტება ფაქტებისა; მივიღეთ ინფორმაცია ტყიბულიდან (ასეთ დროს იტყვიან, სანდო წყაროსაგანო)... და, აი, რა გავიგეთ:

საბედნიეროდ, ოკრიბაში ახსოვთ და აფასებენ კარლო ლომაძეს; არ აყვედრიან, ჯიბეში წითელი მანდატი ედოო... ქალაქისა და რაიონის თავკაცად მოიაზრებენ და არა

პარტიულ ფუნქციონერად (ასეთებიც იყვნენო, სხვებზე ამბობენ...); მადლიერებით გვიამბობენ, რა გააკეთა მან... ქალაქი ქალაქს დაამგვანაო...თეატრი, კულტურის პარკი... თანამედროვე შენობები (ახალმშენებლობას დასრულებამდე თავს დასტრიალებდაო)... თუ დაწვრილებით გაინტერესებთ ლომაძის მოღვაწეობის ამბები, გვირჩიეს, წიგნი წაიკითხეთო... პავლე თოდაძის ორტომიანი წიგნი „სიხარულის ცრემლები“ დაგვისახელა. როცა ვკითხეთ, ლომაძის მოღვაწეობას აღწერსო, გაიკვირვა: „ფაქტიურად ლომაძე და ტყიბული ცალცალკე არც განიხილებაო“... დიახ, სიამაყით გვითხრა ჩვენმა ინფორმატორმა, ექიმმა ეკა გოგოლაშვილმა: „აბსოლუტურად ყველა ტყიბულელი, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, კარლო ლომაძის ღვაწლს დაგიდასტურებთო“...

კიდევ-მეთქი?

კიდევ ის, რომ თეატრი კარლო ლომაძის სახელობისაა... თეატრის მიმდებარე ქუჩას

მისი სახელი ჰქვიაო... მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან ბიუსტიც დაუდგესო...

აი, ესაა მადლიერება! ყოჩაღ ოკრიბლებო!

ამ მაგალითმა იმის იმედი მოგვცა, რომ უმადურობა არაა საყოველთაო თვისება ჩვენი! უმადურობა ვერ წალეკავს მადლიერებას... ოკრიბელთათვის კარლო ლომაძე ეროვნული მოღვაწეა და არა „რაიკომის მდივანი“ თუ „კომპარტიის წევრი“

ამ პრინციპმა უნდა იცოცხლოს: კარგი ჰქენი გზად დადევი...

* * *

დამაფიქრა ამანაც: არჩევნებს ჯანდაბამდე გზა ჰქონია... ხომ მოგეწონა, მკითხველო, ტყიბულში ქუჩასა და თეატრს კარლო ლომაძის სახელი რომ ჰქვია? ამაგდარ კაცს ამაგი რომ არ დაუკარგეს?..

სიღნაღელთა გასაგონად ვამბობთ: სოფელში სოფლის დამაარსებლის სახელი არ უნდა დაიკარგოს...

ორი საუკუნის წინათ ერეკლე მეფის დროს ციხე-გალავანი აიგო... ამ ფაქტს მადლიერებით ვიხსენებთ; დღეს ამ გალავნის მასშტაბურ რეკონსტრუქციას ვინც უთავკაცა, რატომ ვივიწყებთ?

და სხვა... და სხვა...

* * *

მადლიერება-უმადურობის თემაზე საუბარმა შორს ხომ არ წაგვიყვანა? უმადურობას ხომ არ გამოვედევნეთ და მადლიერება ხომ არ დავივიწყეთ, ხომ არ დავკარგეთ?

უმადურობას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით...

ოტია იოსელიანი წერს: „როდესაც ადამიანებს სიკეთეს უკეთებ, კეთილი ადამიანები გიფასებენ, გულგრილები გივიწყებენ, თავხედები კი უფრო თავხედდებიან“.

მაგრამ ღირს ცხოვრება კეთილი ადამიანებისათვის... მადლის ქმნისა და მადლიერების გარეშე ცხოვრება აზრს დაკარგავდა...

ოთარ ჩხეიძის ერთ ჩანაწერს გავიხსენებთ:

„აგერ საფლავის ქვაა, ერისთავების კარის ეკლესიის ეზოში: აქ განისვენებს გამდელი. მიიცვალა 1879 წელსა. წამკითხველო შენდობაო“. უცნაურია, არცა სახელიო, არცა გვარიო, გამდელიო, – რა უცნაურია და რა კარგია, რა კარგია!“ (დროდადრო, 2010, 137)...

ესაა მადლიერება...

ჩვენ კი მადლიერების გამოვლენის უკეთეს საშუალებად ის მიგვაჩნია, რომ ადამიანმა შეძლებისდაგვარად იმგვარად იცხოვროს და იმ გზით იაროს, რა გზითაც ის კაცი დადიოდა, ვის მიმართაც მადლიერების გამოხატვა გვსურს.

(ერთი უცნაური მარცვალი წუთისოფლის
კრიალოსნისა)

ამბავი ივანე ჯავახიშვილისა

**იძულებითი უმადურობა და
თავგანწირვითი მადლიერება...**

ლეონის შეგონება გვახსოვს? – „კარგისთვის ავს ვინ უზამს კაცსაო, კარგისთვის პასუხად ეგ მექმნა, ღმერთი რას მიზამდაო!..“ რა არის ეს, სურვილი სულხან-საბასი თუ რეალობა?

აკი „კარგისთვის კარგი არაოდეს ქმნილაო?“ ეს რომ ასე იყოს, ბოროტება წალეკავდა სიკეთეს... ჭაბუა ამირეჯიბს ჩვენს უნივერსიტეტში შეხვედრა მოვუწყვეთ; მომავლის გეგმებზეც ვალაპარაკეთ; მომავალი რომანის შესახებ საუბრისას, თუ კარგად გვახსოვს, ასეთი რამ თქვა: სიკეთე გათითოკაცე-

ბული დადის; ამიტომ გვეჩვენება სუსტად; ბოროტება შეკრულია; ამათგან (შეკრული თითები გვიჩვენა), ერთიც რომ გატყდეს, დანარჩენებიც დაღუპულია; შიში განამტკიცებს მათ ერთობას... მერე ეპოქაში ერთხელ მოდის დიდი სიკეთე, რომელიც თავს უყრის გათითოკაცებულ სიკეთეებს და აქცევს იმ ძალად, რომელიც ამარცხებს ბოროტებასო... ჭაბუა ამირეჯიბი გიორგი ბრწყინვალეზე საუბრობდა...

მე-20 საუკუნეში ასეთი დიდ სიკეთე იყო ივანე ჯავახიშვილი... მან თავი მოუყარა ცალცალკე მოარულ „სიკეთეებს“, აქცია უდიდეს სიკეთედ და ამ სიკეთის ძალით აა-გო დიდი ტაძარი!...

დიახ, ეს ჭეშმარიტებაა: საქართველოში არის რამდენიმე ტაძარი, რომლითაც ეპოქა იწონებს თავს: სვეტიცხოველი და XI საუკუნე; გელათი და XII საუკუნე და... თბილისის უნივერსიტეტი და XX საუკუნე. ჭეშმარიტად, XX საუკუნეში უფრო დიდი და ეროვნული მნიშვნელობის ტაძარი არ აუგიათ...

იმთავითვე პატივითა და დიდებით შეიმოსა ტაძრის ამგები დიდოსტატი – ივანე ჯავახიშვილი; მას წილად ხვდა საყოველთაო პატივისცემა და აღიარება.

რამდენიმე შტრიხი ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის:

პეტრე მელიქიშვილი: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარებაო“.

მოსე ჯანაშვილი: „მივედით ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შ უ ქ უ რ ა ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი თ გაგვინათებს გზა-კვალს სავალად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანური მარადისობისაკენ“.

მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, ივანე ჯავახიშვილი არის XX საუკუნის ილია ჭავჭავაძე. ხოლო ილია ჭავჭავაძეს მწერალი ასე ახასიათებს: – „ილია ჭავჭავაძე მუხა იყო

უდაბნოში ამოსული (დღეს ივანე ჯავახიშ-ვილი). გარშემო ბუჩქნარი ერტყა. მუხნარად გადააქცია“ (მ. ჯავახიშვილი, „ჩანაწერები“, 2005, 321).

ეს საყოველთაო აზრი იყო.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება საქართველოს თვითგამორკვევის ახალ ეტა-პად იქნა აღიარებული; უნივერსიტეტი – ეროვნული იდეის, ეროვნული სულისკვე-თების გაღვივებისა და გაძლიერების ძირი-თად კერად. ცხადია, ივანე ჯავახიშვილი ამ იდეის თავკაცად მოიაზრებოდა...

დიდია ავტორიტეტი და საზოგადოებ-რივ აზრზე ქართული უნივერსიტეტისა, ივანე ჯავახიშვილისა და მისი გუნდის ზე-მოქმედების ძალა; მათი სჯერათ, სწამთ, ეი-მედებათ...

და აი, 1921 წელს საქართველოში მოვი-და ახალი ხელისუფლება – ანტიქართული, ანტიეროვნული... ბოლშევიკური იდეის გან-

ხორციელებისათვის ქართული უნივერსიტეტი სერიოზული დაბრკოლება იყო...

იწყება ბრძოლა უნივერსიტეტის წინააღმდეგ. საჭიროდ მიიჩნიეს უპირველესად ივანე ჯავახიშვილის გაყვანა საზოგადო ასპარეზიდან, მისი ავტორიტეტის შელახვა, მისი გუნდის დაშლა და ურთიერთდაპირისპირება...

1924 წლის მოვლენებმა ეს პროცესი დააჩქარა:

1926 წელს (უნივერსიტეტი უკვე სახელმწიფო დაწესებულებაა) ხელისუფლებამ საგანგებოდ შეცვალეს წესდება და ახალი წესდების შესაბამისად ივანე ჯავახიშვილი დაითხოვეს რექტორობიდან და ჩაანაცვლეს ვინმე თედო ღლონტით. მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის კომენტარი: „1921 წელს თედო ღლონტი სტუდენტად არ მიიღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა. დღეს კი 22/VI რექტორად აირჩიეს.“ („ჩანაწერები“, 2005, 124).

(საინტერესო პარალელი: 2004 წელს შეცვალეს კანონი და შესაბამისად უნივერსიტეტიდან დაითხოვეს რექტორი (მერე ჩაანაცვლეს ვინმე ხუბუათი)... და გაუშვეს ხელისუფლებისათვის არასასურველი პროფესურა... ესაა ავი საქმის კეთების ნაცადი გზა!.. ასევე: ბოლშევიკებმა მოგვიანებით დაკნინების განზრახვით უნივერსიტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადააკეთეს – გაუთანაბრეს დანარჩენებს... პარალელისთვის ბარემ ესეც გავიხსენოთ: ნეობოლშევიკებმა ყველა ინსტიტუტს უნივერსიტეტი დაარქვეს და გაუთანაბრეს დედაუნივერსიტეტს).

ბოლშევიკებმა ამით მაინც ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს. საზოგადოებრივი აზრის მართვის სადავე ვერ წაართვეს უნივერსიტეტს...

1928 წლის 5 აპრილს ლავრენტი ბერია (იმჟამად უშიშროების სამსახურის უფროსი) ზემდგომთა წინაშე წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ უნივერსიტეტის 10

წლისთავის საიუბილეო სხდომაზე პრეზიდიუმში ფ. მახარაძისა და თ. ღლონტის დასახელებას სტუდენტობა ცივად შეხვდა, ხოლო ი. ჯავახიშვილის გვარის გამოცხადებისას ხანგრძლივი ოვაციები გაიმართა, თუმცა თავად სხდომას არ ესწრებოდა“...

„ტაძრის ამგების“ მადლიერია საზოგადოება... კარგისთვის კარგი მიაგეს დიდოსტატს... ანტიქართული ხელისუფლებისათვის ეს მიუღებელია – ხელისშემშლელია კომუნისტური სახელმწიფოს აშენებისათვის...

და დაიგეგმა ბოროტი ხერხი – **„იძულებითი უმადურობის“** დათესვა; ეს იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული, კარგად დაგეგმილი და მომზადებული ღონისძიება; პროცესი მიჰყავდა უნივერსიტეტის რექტორს (ვინმე ი. ვაშაყმაძეს)...

1930 წელს (13-17 დეკემბერ) ივანე ჯავახიშვილს მოუწყვეს სამსჯავრო (უნივერსიტეტში!); სამსჯავროზე ივანე ჯავახიშვილს,

მის თანამებრძოლებსა და მოწაფეებს საჯაროდ უნდა დაეგმოთ „ნაციონალისტური“ იდეები; „ტაძრის ამგები დიდოსტატი“; განდგომოდნენ მას, გაეწყვიტათ მასთან კავშირი და ჩამდგარიყვნენ ბოლშევიკების სამსახურში... ხელისუფლებამ განსაზღვრა ის წრე (პიროვნულად), ვისაც უნდა შეხებოდა ეს პროცესი; ვის უნდა ესაუბრა, რა ბრალი უნდა დასდებოდა, ვის და ა. შ.

ივანე ჯავახიშვილისა და მისი გუნდისათვის წარდგენილი „ბრალდება“ ასეთი იყო: „მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი... ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციას დასახული ქონდა ძველი საქართველოს იდეალიზაცია მოეხდინა და ამით ნაციონალისტური სული ჩაენერგა ხალხში“ (ვიმოწმებთ წიგნიდან „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები, მ. ვაჩნაძისა და ვ. გურულის გამოცემა, 2004, გვ. 14...).

(საგულისხმო ფაქტი: სამსჯავროზე ივანე ჯავახიშვილის „შკოლიდან“ არავის დაუგმია „პირწავარდნილი ნაციონალიზმი“, არ უარუყვია „ნაციონალისტობა“)...

ხელისუფლებისაგან ეს იყო მადლიერების უმადურობად ქცევის მცდელობა. მადლიერება არ აძლევს ხელს ხელისუფლებას და თესავს უმადურობას...

ჯერ ეს ვთქვათ: ივანე ჯავახიშვილსა და მის „შკოლას“ ებრძვიან ფუნქციონერი ბოლშევიკები (ი. ვაშაყმაძე, კ. ორაგველიძე, პ. შარია და სხვანი); სტუდენტი-ბოლშევიკები (გაბუნია, ყალიჩავა, დემეტრაშვილი და სხვანი)...

განსაკუთრებით ზეწოლას განიცდიან ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლები, ქართული მეცნიერებისა და განათლების სისტემის კორიფეები: შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, გრ. წერეთელი, ს. დანელია, ვ. კოტეტიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე... მოწაფეები (ახალგაზრდა უნივერსიტე-

ტელები): არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი...

უმძიმესი ვითარებაა.... გამოსვლებში რეპლიკებით შეურაცხყოფენ, ამცირებენ, აბუჩად იგდებენ... მოითხოვენ, გაემიჯნონ და დაგმონ ჯავახიშვილი...

და აღწევენ კიდეც ნაწილობრივ მიზანს...

მოვიყვან მოკლე ამონარიდებს ივანე ჯავახიშვილის გამორჩეული მოწაფეების, ახალგაზრდა ისტორიკოსთა ვრცელი გამოსვლებიდან;

დოცენტი ბერძენიშვილი: „მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში... რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანეჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ - მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია“ (გვ. 79).

სიმონ ჯანაშია: „ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს. მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს“ (გვ. 69).

ფაქტობრივ აიძულეს, უარეყოთ, გამიჯვნოდენ მასწავლებელს... თუმცა აღიარებენ მის სიდიდეს...

ამას ვუწოდებთ იძულებით უმადურობას...

ივანე ჯავახიშვილმა იცის, რა ვერაგ მტერთან აქვს საქმე... ამიტომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, მცირე საყვედურიც კი არ გამოუთქვამს მათ მიმართ, „იძულებითი უმადურობა“ ვინც გამოიჩინა (და არც იმათ მიმართ, ნებაყოფლობით ვინც იჩენდა უმადურობას!).

მაგრამ ვერ გატეხეს არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია. რამდენიმე ფრაგმენტი მათი გამოსვლიდან:

ვარლამ თოფურია: „მე ივანე ჯავახიშ-ვილს მიმაკუთვნეს. მე ივანე ჯავახიშვილის მოწაფე ვიყავი და მას პატივს ვცემ. ნუთუ ეს პატივისცემა არის მემარჯვენეობა“...

შეიძლება ცინიზმიც – „თქვენ მოგვეცით დრო, თორემ როგორ შეიძლება, რომ ამაღამ დავიძინოთ და ხვალ რომ გავიღვიძებთ, მარქსისტები გავხდეთ. თქვენ მოგვეცით დრო... პოლიტიკურად თუ მიუღებელი ვარ, ალბათ თქვენ გეცოდინებათ, მე არა მაქვს პო-ლიტიკური წარსული“ (გვ. 72).

დაუნდობლად აკრიტიკებენ არნოლდ ჩიქობავას: „ჩიქობავას, როგორც ეტყობა, დღემდე არც კი წაუკითხავს მარქსიზმის შე-სახებ“ (გვ. 112-113)... მიიწვიეს და არ მივი-და... მათი აზრით, ჩიქობავა ძალიან ბევრს ბედავს...

არმისვლა სამსჯავროზე, ირონიითა თუ ცინიზმით შეჯერებული წერილის გაგზავნა არნ. ჩიქობავას მიერ იყო სწორედ „კეთილ-სინდისიერების, პრინციპულობისა და შეუ-ვალობის“ მაგალითი...

მადლიერება ჯანსაღი საზოგადოების თვისებაა... მართალია უმძიმეს დროში, მაგრამ უმთავრესად ჯანსაღი საზოგადოების წიაღში უხდებოდა მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილს...

ვერ გატეხეს შ. ნუცუბიძე და ვ. კოტეტიშვილი, დ. უზნაძე და ს. დანელია, გრ. წერეთელი და ს. ყაუხჩიშვილი, გ. ახვლედიანი და ა. შანიძე...

და ეს იყო თავგანწირვის ტოლფასი!

დიახ, ეს იყო **თავგანწირული მადლიერება!**

მათგან **ითხოვდნენ იძულებით უმადურობას და მიიღეს თავგანწირული მადლიერება.** უძიმეს დღეში ჩაგდებული ივანე ჯავახიშვილი ალბათ შინაგანად უბედნიერესი კაცი იყო!

უფრო ნათლად რომ გავიაზროთ, რას წარმოადგენს თავგანწირული მადლიერება, აკაკი შანიძის ამბავი გავიხსენოთ ამ სამსჯავროდან (სხვებმა მომიტევონ! ვრჩებით მათ

უდიდეს პატივისმცემლად... (დაინტერესებულ პირებს ვურჩევ ამ წიგნს გაეცნონ...):

მთავარი მომხსენებლის, ივანე ვაშაყმაძის აზრით, ამ დისკუსიამ მიზანს ვერ მიაღწია; მთავარ „დამნაშავეებს“ ვერ „შეაგნებინეს“ თავიანთი „დანაშაული“... განსაკუთრებით „დარდობს“ აკაკი შანიძის ბედს:

„რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელიც ჭაობში იყო მოყოლილი, ე. ი. აქ მე ლაპარაკი მაქვს აკ. შანიძეზე, მან არაფერი არ სთქვა, არ იკადრა და არ გამოვიდა აქ. წაიკითხეს მისი ლექსები, სადაც ის დიდ მეცნიერათ გრძნობს თავს. ეს მეცნიერი ეკუთვნის ანტიიაფეტურ დაჯგუფებას და რომელიც სცილობდა გამასხარაობას მარის ნაწერებისას, ისეთი პიროვნებისას, რომელიც შევიდა 1930 წელს პარტიაში... მას უნდა ეთქვა, რომ ჩვენ არ ვართ მომხრე ჯავახიშვილისო. უნდა ეთქვათ, რომ ჩვენ არ გვინდა ის გზა,რომელიგზითაცის მიდის“... (გვ. 107).

ეს იყო მთავარი დანაშაული აკაკი შანიძისა: უნდა ეთქვა, არ ვართ მომხრე ჯავახიშვილისო, ვგმობ მის გზასო და... არ თქვა!... ლექსიც გაუხსენეს... რა ლექსებზეა საუბარი?

1917 წლის 5 დეკემბერს აკაკი შანიძემ დაწერა ლექსი „ქართული ეროვნული ჰიმნი“. ლექსი დაიბეჭდა ჟურანლ „პრომეთეში“ 1918 წელს (№1). ლექსის დაწერის ისტორია ჩვენთვის უცნობია. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ამ ლექსის ხსენება არ შეიძლებოდა. ლექსი 16 მარცვლიანია და შედგება 9 სტროფისაგან, მე-9 სტროფი I-ის გამეორებაა. არსებითი სამიზნე სწორედ ეს სტროფია:

„აბა ფხიზლად, ქართველებო, მივჰყვეთ
მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ,
ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ
გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ
ვაღებთ დარიალსა!“

ამ ლექსის გამო „სამსჯავროზე“ აკაკი შანიძეს მაინც მოუხდა განმარტების გაკეთება:

„ჩემს წინააღმდეგ ულაპარაკიათ და წაუკითხნიათ ჩემი ლექსი, რომელიც დაწერილია 1917 წ. 5 დეკემბერს (კითხულობს).

ეს ლექსი უნდა გახსოვდეთ, რომელ თარიღშია დაწერილი. იმ დროს ხდებოდა რევოლუცია, ჯერ ლენინგრადში იყო, შემდეგ მოსკოვში. კავკასიის მთები შორს იყო და დენიკინის ჯარი იდგა და მე მის წინააღმდეგ ვწერდი“ (გვ. 111)...

ხუმრობაც სცადა „ნაციონალიზმის“ თემაზე.

ა. შანიძე: „რაც შეეხება ნაციონალიზმს... მე ვამბობ, რომ მარის ცდა უდიდესი არის. მე კი გამომიყვანეს შოვინისტი და მემარჯვენე. როდესაც მან ერთხელ მკითხა, შენ ნაციონალისტი ხარ? უპასუხე, რათ გიკვირს, შენი გაზრდილი ვარ-მეთქი (ხუმრობა)“...

თავმჯდომარეს არ ეხუმრება და სასწრაფოდ შეაწყვეტინა: „ამხანაგებო, ყოვლად შე-

უძლებელია ცილისწამება იმ პიროვნებებისადმი, რომელიც შემოსულია კომუნისტურ პარტიაში და ითვლება კომპარტიის წევრად ნ. მარი“ (გვ. 117).

დარბაზი ბობოქრობს. უყვირიან აკაკი შანიძეს: „გმობ თუ არა ნაციონალიზმს?“... „ისაუბრეთ თქვენი დამოკიდებულების შესახებ ჯავახიშვილთან!“...

და აქ გამოჩნდება ის რაინდული სული აკაკი შანიძისა, ის პოზიცია, რომელიც მან თავის ღირსეულ მოწაფეებსაც ჩაუნერგა და თქვა ის, რაც სხვამ ვერ გაბედა:

„მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწიხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა... მე არ შემიძლია ბევრის ლაპარაკი, რადგან მე პრაქტიკული მომუშავე ვარ... რაც შეეხება სტუდენტობას, რომ მე ასე მახასიათებენ, ალბათ, სხვარამე იქნება და ჯავახიშვილის წინააღმდეგ გალაშქრებით იკეთებენ კარიერას. მე ეს კაცი არა ვარ“ (გვ. 113).

მარცხდება იძულებითი უმადურობა და იმარჯვებს მადლიერება!

ეს იყო ივანე ჯავახიშვლის იდეის გამარჯვება!

და ერთი ბროლის მარცვალი ჩვენეული კრიალოსნისა.

* * *

ცხადია, როცა ვსაუბრობთ თემაზე, „რატომ კარგი აგიგია“ და ამ ამბავს ვიხსენებთ, ხელისუფლებას არ მოვიაზრებთ იმ ძალად, რომელმაც გამოიჩინა უმადურობა კარგის მქმნელის მიმართ. ივანე ჯავახიშვილს მათთვის არ აუგია ეს ტაძარი; ტაძარი ხალხისთვის შენდება, ქვეყნისთვის! ივანე ჯავახიშვილმაც უნივერსიტეტი ქართველ ხალხს აუგო და მიიღო კიდეც სამაგიერ პატივისცემა; მეტიც, თავგანწირული მადლიერების მაგალითია ის, რაზეც ვისაუბრეთ... – ალბათ ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება მოღვაწისათვის... და კიდევ, ესაა ის, ლეონი რომ ამბობს: „კარგისთვის ავს ვინ უზამს კაცსაო,

კარგისთვის პასუხად ეგ მექმნა, ღმერთი რას მიზამდაო“... საბედნიეროდ, ამჯერად მართალია ლეონი...

* * *

და ერთიც: შეიძლება მავანმა გვისაყვედუროს: ესენი ვინა ყოფილანო, ეგეთი რა სამზერიდან ჭვრეტენ წუთისოფელს, რომ ქვეყნად უკეთურობისა და ბოროტების მეტს ვერაფერს ამჩნევენო. არა, ძვირფასებო, ჩვენ რასაც ვწერდით, სიკეთეზე ვწერდით, სიკეთის (და ბოროტების) მარადიულობაზე... განა ვინმეს ესწავლება, რომ ჯერ ღვთიური ნათელი იბადება და მერე მისგან გვაქვს უთვალავი ფერი – ღიაცა და მრუმეც – რითაც ასე მშვენობს ქვეყანა. ასევეა სიკეთეც, ის არის პირველადი და მერე მას მოსდევს ან მადლიერება, ან უმად(ლ)ურობა, ანდა – ერთიცა და მეორეც.

რა გვრჯიდა? – სურვილი იმისა, რომ ამ ნაწერმა, ჩვენი (თუნდაც მცირეოდენი) მკითხველი საკუთარ გულსა და მახსოვრობაში

ჩაახედოს და სხვის თვალში ბეწვისა და თავის თვალში დირეს გარჩევაში წაეხმაროს!..

* * *

რაღა დაგიმალოთ და, ჩვენც ბევრი რამე ვისწავლეთ ამ თემაზე ფიქრისას, ზოგი რამე თქვენც გაგიზიარეთ... ბარემ **სამუელ ჯონსონის** შეგონებასაც შეგახსენებთ: „**მადლიერება ზნეობრივი ადამიანების თვისებაა, ზნედაცემულებს იგი არ ახასიათებთ**“.

ბოლოთქმა

აქ მოთხრობილის თაობაზე: წილისდა მიხედვით, ერთი ფიქრობდა ავტორები ასე დაგველაგებინა – „თამაზ ხმალაძე, გიორგი გოგოლაშვილი“; მეორემ თქვა, ასეო: „გიორგი გოგოლაშვილი, თამაზ ხმალაძეო“... მერე ეს ამბავი გავიხსენეთ:

ჩვენ თანაკურსელები ვართ. პატარა ჯგუფი იყო ჩვენი, ათკაციანი. სია „გოგოლაშვილით“ იწყებოდა და „ხმალაძით“ მთავრდებოდა. ერთი ლექტორი გვყავდა (დიდად პატივცემული); სიის ამოკითხვას „ხმალაძით“ იწყებდა და „გოგოლაშვილით“ ამთავრებდა... „უკუღმა მოუბარს“ ვეძახდით...

ჰოდა, ავტორები ჩვენ წაღმა დავალაგეთ, ანბანთრიგზე...

„წამკითხველო, შენდობა“!..

პაატა ჩხეიძე: მაინც დიალოგია

ეს წიგნი დიალოგია, დიალოგი არა მხოლოდ ძველ მეგობრებს შორის, არამედ დიალოგი მკითხველთან, ანუ მკითხველის გამოწვევაა დიალოგში. გიორგი გოგოლაშვილი და თამაზ ხმალაძე დიალოგში იწვევენ მკითხველს, რომელსაც მათსავით აწუხებს ერის საჭირბოროტო თუ წყევლაკრულვიანი საკითხავი, აგვყევი და შენიც გაგვიზიარეო.

რაკი სათაურად „რატომ კარგი აგიგია?!“ შეურჩევიათ, მაშინვე ხვდები, თუ რა მოტივი იტრიალებს ამ პატარა წიგნში და რა ქარგაზე აიგება თხრობა.

უმადურობა ადამიანური თვისებაა, უმადურება დაპირისპირებულია მადლიერებასთან. მადლი, მადლიერება ღვთიურია, ღვთისაგან არის. უმადურობა მადლის ნა-

კლებობაა, ღვთიურობის კლებაა, ეშმაკის მოძალებაა.

რა უფრო მეტია კაცში – მამაკაცშიც და დედაკაცშიც – მადლიერება თუ უმადურეზობა? რას უფრო ხშირად გამოავლენს თუ გამოამჟღავნებს კაცი?

რაღა თქმა უნდა, უმადურობას.

ჩვენ ყველას გვაწევს ეს ცოდვა, მეტ-ნაკლებად. სხვა თუ არა, გულმავიწყობა მაინც ხომ გვჩვევია მოამაგე ადამიანის მიმართ, ჯეროვნად არ აღგვინიშნავს და გადაგვიხდია გაწეული ამაგი. აქ მეტ-ნაკლებად ყველანი ვცოდავთ.

მაგრამ რა ვუყოთ დიდ უმადურობას და არა მხოლოდ უმადურობას, არამედ შურს, მწუხარებას სხვისა სიკეთესა ზედა? რა ვუყოთ არა მხოლოდ მიყურისძირებას ღვაწლისა, არამედ მძვინვარებას და გალაშქრებას ერისა და ხალხისათვის დამაშვრალი დიდი და მცირე მოღვაწეების წინააღმდეგ?

ამ საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიან საკითხავს ეძღვნება გიორგი გოგოლაშვილისა და თამაზ ხმალაძის წიგნი.

ბევრჯერ დაწერილა ამ საკითხზე და ვფიქრობ უფრო მეტი უნდა დაიწეროს. ყოველი უმადურება მოღვაწისადმი, ყოველი დევნა-შევიწროვება დამაშვრალი კაცისა უნდა შემორჩეს ისტორიას, წიგნად დაიდოს, რომ, რაც არ უნდა შეეცადოს გამარჯვებული, ვინც ისტორიას წერს, ვერ წაშალოს, ვერ მიჩქმალოს თავდადებულ და თავშეწირულ ადამიანთა ღვაწლი.

ლიტერატურათმცოდნეობაში წერია სარედაქციო შეფასება ფორმიდან უნდა დაიწყოს შემფასებელმაო და მეც ფორმიდან შევუდგები.

ავტორები გვაუწყებენ, ბევრი ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და ბოლოს ასეთი სახე მიიღო, გამონოლოგებული დიალოგიაო.

იყოს მონოლოგი, არ ავუხირდები, მაგრამ დიალოგის კვალი მაინც მოჩანს და მო-

ჩანს სურათი: ზის ორი დამაშვრალი და ერის გულშემატკივარი კაცი და საუბრობს, მსჯელობს... ეგებ ხის ქვეშ სხედან, ჩრდილში, ეგება სუფრას უსხედან და სადღეგრძელოს ამოჰყვება ჯავრიანი სათქმელი, ეგებ ტელეფონით საუბრობენ და ეგებ მესენჯერი ან ზუმი ჩაურთავთ. არაფერია გასაკვირი და არც არაფერია ახალი და ტექნოლოგიების იდეაც ძველია.

სხედან კაცები და საუბრობენ, მსჯელობენ და მერე დიალოგი მონოლოგად გადაიქცევა და წიგნის სახესაც მიიღებს.

დიალოგი დიდი ხნის წინათ დაიწყო და გრძელდება და დიდხანს გაგრძელებულიყოს. ამ დიალოგს ამოჰყოლია რადიოპროგრამა „ერთხელ საქართველოში“ და მერე წიგნადაც გამოცემულა, 2000 წელს. ოცდაორი წელი გასულა მას შემდეგ. აფსუს, ვერ მივადევნე თვალყური.

„რატომ კარგი აგიგია?!“ – მოტივიც სათაურშივეა და ქარგაც. სათაურისათვის და-

სმული კითხვისა და ძახილის ნიშნებიც ბევ-
რის მიმანიშნებელია და ხალხური ლექსიც.

ვის უნდა მიმართო ასეთ საკითხზე სა-
უბრისას, ვის უნდა სთხოვო რჩევა, მრავალი
გვაყვს ქართველებს დამკვალიანებელი მო-
ძღვარი, მაგრამ ყველას მაინც სულხან-საბა
აჯობებს.

და რუქა და ლეონი და სედრაქი გეტყვი-
ან, რომ უმადურებაც ადამიანურია და მად-
ლიერებაც.

რომ ბოროტს კეთილად არ უნდა მოექ-
ცე.

რომ მართალი სამართლის ქმნა სჯობს.

მაგრამ რომ არ გამოდის არაფერი?! ხალ-
ხურ პოეზიასა და ეპოსში კი სძლევს კეთი-
ლი ბოროტს, მაგრამ ცხოვრებაში – ვერა.

ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბო-
როტს არ დაბადებს, მაგრამ ადამიანი ვერ
ინარჩუნებს ღვთიურ მადლსა და ბოროტს
ხალისით ემსახურება.

უმადურობა, შური და ბოღმა ადამიდან იღებს სათავეს და ურიცხვ თაობათა მანძილზე იკრებს ძალას.

პირველ „მკლავმოკვეთილად“ ავტორებმა ვაჟა ფშაველა გაიხსენეს. ცნობილი, მაგრამ მარად გასახსენებელი ქრონიკა გააცოცხლეს, თუ როგორ იღვწოდა ვაჟა ფშავლებისა და მთიულების შირაქში ჩასასახლებლად და რა მზაკვრული ხერხებით უსაფრდებოდნენ და რა ცილს სწამებდნენ მას.

მეორე მკლავმოკვეთილი იაკობ გოგებაშვილია.

გიორგი გოგოლაშვილის საზოგადო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი იაკობ გოგებაშვილის სახელისა და მნიშვნელობის დაცვას ემსახურება.

ნუთუ იაკობ გოგებაშვილსაც სჭირდება დაცვა?!

გიორგი გოგოლაშვილმა არა ერთი წიგნი და ნაშრომი მიუძღვნა დიდ ქართველ პედაგოგს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

გიორგი გოგლაშვილმა და თამაზ ხმალაძემ იციან, რომ ჩვენ დღეს ქართულად არ ვილაპარაკებდით, არ დავწერდით და არ წავიკითხავდით ქართულად, რომ არა იაკობი.

და ამ ადამიანს რუსული ხელისუფლება ხომ სდევნიდა, ქართული საზოგადოების ზოგიერთი უღირსი პირი თუ დაჯგუფებაც არ აკლებდა თავდასხმებსა და ცილისწამებას. კომუნისტების დროს ხომ არ აფასებდნენ ჯეროვნად და ახლა, დამოუკიდებელ საქართველოში სკოლიდან გამოაგდეს მისი „დედაენა," მოძველებულიაო. მე ვიცი თუ რამდენი იშრომეს გიორგი გოგოლაშვილმა და მისმა თანამოზრეებმა „დედაენის" სკოლაში დასაბრუნებლად.

დევნა დღესაც გრძელდება, რამდენიმე წლის წინ ერთმა სწავლულმა ისიც კი იკადრა, რომ ქართველების სიძულვილი დააბრალა იაკობ გოგებაშვილს.

– მე ვიტყვი, დავაბრალებ და იმან ამტკიცოს, რომ ასე არ არისო.

წიგნის ღირსება ისიცაა, რომ არა მხოლოდ დიდ სახელთა გახსენება დაუსახავს მიზნად, არამედ უჩინარ, მაგრამ დიდ საქმეთა აღმსრულებელ კაცთაც.

ვინ იყო სიმონ საყვარელიძე?

სიმონ საყვარელიძე იყო ტყიბულის ქვანახშირის საბადოს აღმომჩენი.

ნიკო ნიკოლაძე წერდა დროებაში:

„საიდან ჰქონდა ამ კაცს შეძენილი მადნეულობის ცოდნა, არ ვიცი და ვერც გავიგე. ნამდვილი კი ისაა, რომ ეს კაცი ნიადაგ დადიოდა მთებში ერთი პატარა ჩაქუჩით და აგროვებდა სხვადასხვა მადნეულებს... მის სახლში ამ მადნეულობის მეტი არაფერი დარჩენილა და ისიც მეზობლებმა დაფანტეს , ბავშვების სათამაშოდ; ვინ იცის, რამდენი ძვირფასი და სასარგებლო ჩაიტანა ამ კაცმა თავის საფლავში და რამდენი ხნის და კაცის შრომა დასჭირდება ეხლა ჩვენს ქვეყანას იმ საიდუმლოების ხელახლა აღმოსაჩენად, რო-

მელიც ამ კაცს ნაპოვნი ჰქონდა და რომელ-
საც ასე იაფად აფასებდა!..“

და თვით ნიკო ნიკოლაძესაც რომ სჭირ-
დება გამოსარჩლება, მასაც რომ მოსჭრეს ხე-
ლი!

დევნიდნენ კაცს, ვისაც იმდენი დიდი
საქმე აღუსრულებია, რომ წიგნში მოტანი-
ლი, მხოლოდ მშრალი ჩამონათვალი ოთხ
გვერდზე გადაჭიმულა.

ასეთ კაცს სდევნიან არა თუ რიგითი და-
მსმენები, არამედ ცნობილი მწერალი იონა
მეუნარგიაც კი... და ასმართლებენ ქრთამის
აღებისათვის!

და ისევ ფილოსოფიური განაზრება, უფ-
რო სწორად ფილოსოფიური ხუმრობა, შალ-
ვა ნუცუბიძე ეუბნება მკლავისმომჭრელთა-
გან ერთს, – ამათ კიდევ ჰო, ბევრი რამით და-
ვეხმარე და შენ რას მერჩი, შენთვის ხომ არა-
ფერი გამიკეთებიაო.

ან ქეთევან ლომთათიძის ნათქვამი,
უდანაშაულობას კაცი კაცს არ პატიობსო. ან

მიხეილ ჯავახიშვილისა - კაცობრიობა ადამის სისხლისა კი არ არის, არამედ - ძმის მკვლელი კაენისაო.

აქ ჩემი ფიქრები წამოიჭრება, ობოლო რას იზამ რო გაიზრდებიო და ჩემს გამზრდელს დავახრჩობო.

და მახსენდება როგორ მოექცნენ ოთარ ჩხეიძეს აღზრდილ-ნაამაგარი მოწაფეები. გვარ-სახელებს არ ვიტყვი, როსტომს ნათქვამი აქვს.

მერე ივანე ჯავახიშვილის დევნის უმძიმესი და ტრაგიკული ამბები მოდის.

ჩაგითრევს ეს ამბები, მაგრამ სჯობს გავჩერდე და ავტორთა სიტყვებით დავასრულო, - რა გვრჯიდაო, კითხულობენ.

ისა რჯიდათ, რომ ამ პატარა წიგნმა უნდა დააფიქროს კაცნი და ეგებ ერთ ავისმოსურნე ხელიმომჭრელს მაინც ააღებინოს ხელი ავ საქმეზე ან ერთი უმადური მაინც მოიყვანოს გონს. ეგეც დიდი საქმე იქნება.

ხელის მოჭრისა და უმადურობის მაგალითები მრავლდაა ჩვენს ქვეყანაში, თვითეულ პატარა სოფელს ექნება ერთი მაგალითი მაინც, ყველას რას ჩამოთვლი, მაგრამ სანიმუშო მაგალითები დრო და დრო უნდა გამომზეურდეს, საჭიროა.

შინაარსი

წინათქმა 3

რა არის „გველის სამართალი“?.....8

(ერთი მარცვალი უმადურობის შავი კრიალოს-ნისა) **ამბავი ვაჟა-ფშაველასი**.....36

(კიდევ ერთი მარცვალი...) **ამბავი იაკობისა**.....57

(კიდევ ერთი მარცვალი...) **ამბავი ნიკო ნიკო-ლაძისა**.....80

„მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს“.....103

„რატომ კარგი აგიგია“ – „ფილოსოფიური“ გააზრება... 111

„კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეა...“ 119

(ერთი უცნაური მარცვალი წუთისოფლის კრიალოსნიდან) **ამბავი ივანე ჯავახიშვი-ლისა**.....153

ბოლოთქმა.....173

პაატა ჩხეიძე: მაინც დიალოგია 174